472
1939/12

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 12 დეკემბერი 1939 წ.

3535

შინაარსი

1. ბრძანება № 6-13—მოზარდთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 2
3 ბრძანება № 6322—რაიპედკაბინეტების მუშაობის გარდაქმნის შესახებ 3
3. საუკეთესო საკლუბო დაწესებულებებზე საკ. კ. პ. (ბ) მე 18 ყრილობის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ . . 4
4. ბრძანება № 7219—საკლუბო დაწესებულებათა გამოკვლევის შედეგების შესახებ 6
5. ბრძანება № 7466—საშუალო სკოლებში სსრკ. ისტორიის სწავლების დადგენილი წესის დარღვევის შესახებ 8
6. ბრძანება № 6952—განსახკომის ინპექტორთა ბრიგადებისაგან წარმოდგენილ მოხსენებათა შესახებ 9
7. მოხსენებითი ბარათი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ ქ. თბილისის მე-2, მე-46 და მე-104 საშ. სკოლებში 10
8. მოხსენებითი ბარათი ქ. თბილისის მე-51, მე-55, და მე 68 საშ. სკოლების მე-4 კლასებში სსრკ-ის ისტორიის სწ. ვლების შესახებ 17
9. მოხსენებითი ბარათი ბუნებისმეტყველების სწავლების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის მე-65, მე-55 და მე-24 საშ. სკოლებში 22
10. მოხსენებითი ბარათი და ღონ ძიებანი მათემატიკის სწავლების შესახებ ქ თბილისის მე-12, მე-18 და მე-24 საშ. სკოლებში . . 32

განსახკომი
თბილისი—1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 6913

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 21 ნოემბერი.

მოზარდთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

აღენიშნავ, რომ მოზარდთა სკოლების მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთი განს. განყოფილებათა გამგეები არ აფასებენ მოზარდ. სკოლების მნიშვნელობას (ციროვის, 26 კომისრის, ლენინის, ბოგდანოვკის) არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მოზარდთა სკოლებისათვის პედაგოგიურ-მეთოდური ხელმძღვანელობისა და კონკრეტული დახმარების გაწევის საქმეში.

რიგ რაიონში არც ერთხელ არ ჩატარებულა მოზარდთა (14—18 წლამდე) ასაკის ბავშვთა აღრიცხვა (ქ. თბილისის, ტყიბულის, ონის, ორჯონიკიძის, ყაზბეგის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ბაღდადის, თბილისის რ.). არ იციან რამდენია ამ ასაკის ბავშვი დარჩენილი სკოლის გარეთ. ზოგიერთ რაიონში სრულიადაც არ არსებობს მოზარდთა სკოლები (ორჯონიკიძის, ონის, წალენჯიხის, ზესტაფონის, ყაზბეგის, გეგეჭკორის და ჩოხატაურის რაიონები), ზოგი განს. განყოფილების გამგის უყურადღებობით მოზარდთა სკოლების საქმისადმი, ადგილი აქვს ამ სკოლის მასწავლებელთა და გამგეთა გულგრილ დამოკიდებულებას თავის მოვალეობისადმი, რის შედეგად აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური დონე: ადგილი აქვს მოსწავლეთა განთესვას აღნიშნულ სკოლებიდან (26 კომისრის, ორჯონიკიძის, სტალინის, ლენინის, თელავის რაიონები და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ა. ო. მოზარდთა სკოლებში).

მოზარდთა სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. განს. განყოფილებათა გამგეებმა ა/წ. 25 დეკემბრამდე დაამთავრონ მოზარდთა სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ზუსტი აღრიცხვა და 1940 წლისათვის გაითვალისწინონ მოზარდთა სკოლების ქსელის იმდაგვარად გაშლა, რომ სკოლის გარეთ არ დარჩეს არც ერთი მოზარდი.

2. განათლების განყოფილებებმა სისტემატიურად აწარმოონ მოზარდთა სკოლების შემოწმება (ყოველ კვარტალში) და გაუწიონ მათ დახმარება პედაგოგიურ-სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანისათვის.

3. რაიონულმა პედაგოგიურმა კაბინეტმა გაუწიოს დახმარება მოზარდთა სკოლების მასწავლებლებს, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების საქმეში, რისთვისაც მოაწყოს კონსულტაციები სწავლების მეთოდებზე, საუბრები, ლექციები; ჩაატაროს ღია გაკვეთილები და უზრუნველყოს საუკეთესო სკოლების და მასწავლებლების გამოცდილებათა გაზიარება.

4. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ინსპექტორებმა რაიონის სკოლების შემოწმებისას, განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლონ მოზარდთა სკოლების მუშაობა, გაუწიონ საჭირო პრაქტიკული დახმარება ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების საქმეში და ადგილებზე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

5. მოზარდთა სკოლების გამგეებმა: ა) მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ სკოლას გაახნდეს: დაკვირვებით და მტკიცედ შედგენილი სკოლის წლიური და მეოთხედური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები, კლასების ხელმძღვანელთა გეგმები, ხოლო ცალკე სასწავლო დისციპლინათა მასწავლებლებს — წლიური, მეოთხედური და თვითეული გაკვეთილის გეგმები, სწორად შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. სკოლის შინაგანაწესი, და მთელ პედკოლექტივთან ერთად იბრძოლონ გეგმების დროულად და ხარისხობრივად შესრულებისათვის.

ბ) გამგეებმა მიიღონ ზომები მოზარდთა სკოლებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების მთლიანად ასათვისებლად და უზრუნველჰყონ სკოლები საჭირო სასწავლო ხელსაწყოებით და დიდაქტიკური მასალებით.

გ) გაუწიონ მასწავლებლებს სწავლების საქმეში ყოველდღიური დახმარება და მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებელი სკოლაში არ ცხადდებოდეს უგეგმოდ და მოუმზადებლად.

დ) აღკვეთონ სკოლებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადებისა და გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები. ჩაატარონ მოსწავლეთა და მშობელთა შორის სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა მოსწავლე სკოლაში ცხადდებოდეს დროზე — სუფთად, წესიერად და იცავდეს სასკოლო რეჟიმს.

ე) ჩაატარონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს მოსწავლეთა სკოლიდან განთესვის არცერთ შემთხვევას და მიიღონ გადამჭრელი ზომები, სკოლის გარეთ დარჩენილ მოზარდთა სკოლაში ჩასაბმელად.

ვ) განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეამოწმონ მოზარდთა სკოლების მასწავლებელთა ხელფასის ვაკეთმისა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვა თანხებით სკოლების დაფინანსების მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ დარგში შემჩნეულ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ზ) უახლოეს ხანში მოწვეულ იქნას მოზარდთა სკოლების გამგეების სარაიონთაშორისო თათბირები, სადაც დამუშავდეს ღონისძიებანი მოზრდთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ხ) დაწყებითი სკოლის სამმართველომ სარაიონთაშორისო თათბირის ჩატარების გეგმა წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

ზ. კიკნაძე

ბრძანება № 6322

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 26 ოქტომბერი.

რაიპედკაბინეტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

აღვნიშნავ. რა მთელ რიგ რაიონებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა განსახკომის მიერ 1938 წლის დეკემბერში გამოცემულ დებულებათა საფუძველზე. 1939 წლის განმავლობაში რაიპედკაბინეტებისა და საუბნო მეთოდ-თათბირების შესწავლამ (ბორის, ბაშკიჩეთის, ყარაიას, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, თელავის, ლიუქსემბურგის, ყვარელის, ბორჩალოს, წითელ-წყაროს, სიღნაღის, კასპის, ვანის, ქუთაისის, ჭობურლეთის, სტალინირის) ცხადჰყო, რომ რიგ რაიონების მიერ სავსებით მივიწყებულია პედკაბინეტების მუშაობა (ადიგენი, ასპინძა, ყვარელი). რაიპედკაბინეტების უმრავლესობის მიერ არ არის მოწესრიგებული პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების ორგანიზაცია — გამოცდილი მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, მოწინავე — ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეწოსან მასწავლებელთა გამოცდილების პოპულარიზაცია, სკოლებისა და საუბნო მეთოდ-თათბირებზე მეთოდური წერილებისა და გაკვეთილების გეგმების კონსპექტების ნიმუშების მიწოდება და სხვა.

რაიპედკაბინეტებში სუსტადაა დაყენებული დამწყებ მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარების გაწევის საქმე.

რაიონული პედკაბინეტებისა, საუბნო-ჯგუფური მეთოდ-თათბირებისა და საგნობრივ გაერთიანებათა მუშაობის გარდაქმნისათვის **ვბრძანებ:**

1. შემოწმდეს პედკაბინეტების მუშაობა სოხუმში და სოხუმის რაიონში, სტალინირში და სამხრეთ-ოსეთის ერთერთ რაიონში, ყვირაიას და სიღნაღის რაიონებში.

2. დამტკიცდეს რაიპედკაბინეტების და საუბნო ჯგუფურ მეთოდგაერთიანებათა გამოკვლევისათვის წარმოდგენილი კითხვარი.

3. დამტკიცდეს რაიონებში მისავლინებელ პირთა წარმოდგენილი სია.

4. შემოწმების შედეგები მოსმენილ იქნას კოლეგიის მორიგ სხდომაზე.

საქ. სსრ განსახკომის მოადგილე

ბ. კიზირია

საუკეთესო საკლუბო დაწესებულებაზე საქ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

სოცშეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტის 1939 წლის 27 ნოემბრის დადგენილება ლანჩხუთისა და აღბულაღის განათლების განყოფილებების და საქ. ალკა ლანჩხუთის რაი კომის მოხსენებათა გამო.

მოისმინა რა მოხსენება ლანჩხუთისა და აღბულაღის რაიონებში საკლუბო დაწესებულებათა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავს:

ლანჩხუთის რაიონის პოლიტგან მუშაკები ინიციატორები შეიქმნენ საუკეთესო საკლუბო დაწესებულებაზე საქ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადების საქმეში, მოიწოდეს რა საქ. ს. ს. რ. ყველა საკლუბო დაწესებულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისაკენ და დაიწყეს ბრძოლა აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

შეჯიბრებასთან დაკავშირებით, აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგად ლანჩხუთის საკლუბო დაწესებულებათა უმრავლესობამ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს, მაგ., ჩოჩხათის სასოფლო კლუბი თავის დროზე გამოეხმაურა კადმის რაიონის მუშაკების ღია წერილს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში მონაწილეობის შესახებ. კლუბში ჩამოყალიბებულია საარჩევნო დებულების შემსწავლელი წრეები, ფართოდაა გაშლილი წინასაარჩევნო მუშაობა, სისტემატურად ტარდება ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები, კონსულტაციები, სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, ორგანიზებულადაა გაშლილი დიასახლისებს შორის აგიტ-მასობრივი მუშაობა, წესრიგში მოყვანილია შენობა, კლუბს აქვს წლიური, კვარტალური და თვიური სამუშაო გეგმები, რის მიხედვითაც სისტემატურად ტარდება საბჭოს სხდომები, რომელზედაც განხილულია საკლუბო მუშაობის ყველა ძირითადი საკითხი (მიმდინარე კამპანიებში მონაწილეობა, კოლმეურნეთა შორის აგიტმასობრივი მუშაობის გაშლა, სოცშეჯიბრების მიმდინარეობა, არჩევნებისათვის მზადება და სხვა).

კლუბში არსებულ 7 თვითმმქმედ და საგნობრივ წრეს აქვს სამუშაო გეგმები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწარმოებს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

კლუბის გამგემ ამხ. ტიკარაძემ შესძლო კლუბის გარშემო დაერაზმა სოფლის 52 მოწინავე აქტივისტი, რის შედეგად მასობრივი პოლიტიკური მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კლუბთან მოწყობილი იქნა ლენინ-სტალინის ოთახი, რომლისათვის კლუბს შეძენილი აქვს 185 ცალი ვენური სკამი, 2 კარადა, 5 მაგიდა, ჭადრაკი, პატეფონი, გიტარა, მანდალინა, ჩონგური და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობაა ნიგვზიანის, ჩიბათის, აცანის, ქვემო აკეთის და სუფსის სასოფ. კლუბებში.

ლაჩრუთის რაიონის საკლუბო დაწესებულებებმა აღნიშნულ შედეგებს მიაღწიეს რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ აღბულაღის განათლების განყოფილებამ (ყოფილი გამგე ორმოცაძე), კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ცქრიალაძემ, პ/გ. მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავ-რემ ამხ. კაპიდიმ, ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულებით ჩაშალეს საქ. ალკა ცეკას, განსახკომისა და პ. გ. მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის 1939 წლის 31 მარტის დადგენილების შესრულება საკლუბო დაწესებულებებში საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

რაიონის მთელი რიგი საკლუბო დაწესებულებანი (ჩხიკვთა, პოსელიანის, ჯორჯიაშვილის და სხვა) ჩაბმული არ არინ საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. შემოკრებილი არ ყავთ აქტივი, ჩაშლილია საწრეო მუშაობა, ძალზე სუსტია მონაწილეობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადების საქმეში და სხვა.

სოცშეჯიბრების რესპუბლიკურ კომიტეტში, არსებული მასალების მიხედვით, ცუდი მდგომარეობაა ყვარლისა და გურჯაანის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

აქედან გამომდინარე, რესპუბლიკური კომიტეტი **ადგენს:**

1. წინადადება მიეცეს აღბულაღის, გურჯაანის და ყვარლის განათლების განყოფილებებს, კომკავშირის რაიკომებს, პ/გ. მუშაკთა პროფკავშირის რაიკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოცშეჯიბრების კომიტეტს:

ა) მთავარი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას და უზრუნველჰყონ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო საგიტაციო მუშაობის გაშლა, დებულების შემსწავლელი წრეების მუშაობის გაუმჯობესება, ლექციების, კონსულტაციების, გაზეთების ხმამაღალი კითხვის სისტემატური ჩატარება, კედლის გაზეთის გამოშვება, საარჩევნო უბნების და ოლქების მხატვრული გაფორმება, ამომჩეველთა მხატვრული მომსახურება და სხვ.

ბ) დაეხმაროს კლუბის მუშაკებს მათ მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში (ბიუჯეტის ათვისება, შინასახსრების დაგროვება, საკლუბო დაწესებულებათა შენობების კეთილმოწყობა, ლიტერატურით და ინვენტარით მომარაგება და სხვა).

2. მიაქციონ ყურადღება საკლუბო დაწესებულებებში სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის გაშლას, მათში მშრომელი მასების ფართოდ ჩაბმით.

3. რესპუბლიკური კომიტეტი ავალებს საკლუბო დაწესებულებათა გამგეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასა და ზამთრის პერიოდში საკლუბო დაწესებულებათა გათბობა-განათებით დროულად უზრუნველყოფის საკითხს.

4. დაევალოს განათლების განყოფილებებს, კომკავშირის რაიკომებს, პ/გ მუშაკთა პროფკავშირის რაიკომებს ამთავითვე შეუდგენენ მოწინავე საკლუბო დაწესებულებების, მათი მუშაკების, კულტაქტივისტების, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივნების გამოკლინებას და შეჯიბრების შედეგების შეჯამებულ მასალებთან ერთად, მოსალები მათ შესახებ წარმოადგენონ რესპუბლიკურ კომიტეტში ა/წ. 15 დეკემბრამდე.

5. დაისვას საკითხი განათლების სახალხო კომისარიატის, საქ. ალკაკ ცეკასა და პ/გ მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წინაშე შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავე მუშაკთათვის, გარდა უკვე დაწესებული ჯილდოებისა, დამატებითი ჯილდოს შემოღების შესახებ ქების სიგელების სახით.

6. დაეკალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, კომკავშირის რაიკომებს, პ/გ მუშაკთა პ/კავშირის რაიკომებს და აფხაზეთის და აჭარის ავტ. სს რესპუბლიკებისა და სამხრეთ - ოსეთის ავტ. ოლქის სოც-შეჯიბრების კომიტეტებს აღნიშნული დადგენილება განიხილონ საკლუბო მუშაკთა და კულტაქტივისტთა თათბირზე და მის საფუძველზე დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

7. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

სოცშეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ბურჯულაძე**

ბრძანება № 7219

განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1939 წლის 1 დეკემბერი.

საკლუბო დაწესებულებათა გამოკვლევის შედეგების შესახებ.

გაეცანი რა ყვარელის, გურჯაანის, აღბულაღის, ბაშკიჩითისა და წალენჯიხის რაიონების საკლუბო დაწესებულებათა გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ:

ყვარლისა და გურჯაანის რაიონების განყოფილებები არ ამუშავებენ და საკლუბო დაწესებულებამდე არ დაჰყავთ განსაკომიდან მიღებული ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, იშვიათად ახდენენ საკლუბო დაწესებულებათა შემოწმებას, არ ატარებენ მეთოდ-თათბირებსა და სემინარებს საკლუბო მუშაობისათვის, არ ღებულობენ ზომებს საკლუბო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის, მათი უზრუნველყოფისათვის კულტ - ინვენტარით, ლიტერატურითა და სხვ. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას ის, რომ მთელ რიგ საკლუბო დაწესებულებებს (გურჯაანის რაიონში ახალშენის და ზემო გურჯაანის სასოფლო კლუბები, ყანდაურას და ჩუმლაყის ქოხსამკითხველობები; ყვარელის რაიონში — გავაზის, საბუეს, ახალსოფლის და ჭიკაანის ქოხ-სამკითხველობები) არ ჰქონდათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გეგმა, შემოკრებილი არ ჰყავდათ კულტაქტივი, არ ტარდებოდა სტალინური კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების ხმამაღალი კითხვა, საუბრები, ლექციები, მოხსენებები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, სრულებით არ წარმოებდა საცნობო მუშაობა, არ სჩანდა საარჩევნო კამპანიაში კედლის გაზეთების მონაწილეობა, ზოგან კი კედლის გაზეთი სრულებით არ გამოდიოდა, შეუკეთებელი და ზამთრისათვის მოუმზადებელია საკლუბო დაწესებულებები, რომლებიც მომარაგებული არ არიან შეშით, ღუმელით, ლამპებით, კლუბის შენობებში დაცული არ არის სისუფთავე და სხვა. ჯერ კიდევ სუსტია საკლუბო დაწესებულებებზე ხელმძღვანელობა აღბულაღისა და ბაშკიჩითის განათლების განყოფილებების მხრივაც.

ზოგ შემთხვევაში რაიონის განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების გამგეები არა თუ არ ზრუნავენ საკლუბო დაწესებულებათა შენობების შეკეთებასა და კეთილმოწყობაზე, არამედ სხვა ორგანიზაციებს უთმობენ მათ და ამით აფერხებენ საკლუბო მუშაობას, მაგ., აღბულაღის რაიონის გან. განყოფილების ყოფილმა გამგემ ორმოცაძემ კულტურის სახლის დამხმარე მასობრივი მუშაობის გასაშლელად საჭირო შენობები სასადილოს გადასცა; ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის კლუბის შენობა ხორბლის საწყობად იყო გამოყენებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგერთი რაიონის განათლების განყოფილებას არ უზრუნვია საკლუბო დაწესებულებათათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ათვისებაზე, ყვარლის რაიონის საკლუბო დაწესებულებებს მიმდინარე წლის სამი კვარტალის საოპერაციო ხარჯებისათვის გათვალისწინებულ 28.700 მანეთიდან ათვისებული ჰქონდათ მხოლოდ 8.200 მან. ბალლოჯიანის ქოხ-სამკითხველოს, გარდა ხელფასის თანხებისა, არაფერი მიუღია. ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანის, აღბულაღისა და ბაშკიჩეთის რაიონებშიც.

ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს სოფსაბჭოების მიერ საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების თვითნებურად მოხსნას და მათ ნაცვლად ამ საქმისათვის შეუფერებელ პირთა დანიშვნას, რასაც განათლების განყოფილებები საჭირო წინააღმდეგობას არ უწევენ (აღბულაღის რაიონში სოფ. ჯორჯიაშვილის კლუბის გამგე სოფსაბჭო მდივნად გადაიყვანეს, ხოლო მის ნაცვლად დანიშნეს ამ საქმისათვის შეუფერებელი პირი).

საკლუბო დაწესებულებებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით **ვბრძანებ:**

1. რაიონის განათლების განყოფილებებმა უზრუნველჰყონ საკლუბო დაწესებულებების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გაძლიერება, რისთვისაც სისტემატურად ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები, ხმამაღალ კითხვა, საუბრები, სისტემატურად გამოსცენ კედლის გაზეთები, მოაწყონ დეპუტატების კანდიდატთა კუთხეები, რაიონისა და სოფლის მაღლეკების გამოფენა, მორთონ საკლუბო დაწესებულებები ლოზუნგ-პლაკატებით და სხვა.

2. განსახკომის აწ. 21 სექტემბრის ცირკულიარის (№ 749) შესასრულებლად წინადადება მიეცეს ყვარელის, გურჯაანის, აღბულაღის, ბაშკიჩეთის და წალენჯიხის განათლების განყოფილებებს ჩაატარონ საკლუბო მუშაკებისა და კულტ-აქტივისათვის სემინარები და კონსულტაციები.

3. წინადადება მიეცეს ყველა რაიონის განათლების განყოფილების გამგეს სანიმუშო წესრიგში მოიყვანონ საკლუბო დაწესებულებათა შენობები, შეაკეთონ და უზრუნველჰყონ ისინი გათბობა-განათებით, სამეურნეო და კულტინვენტარით, 27 დეკემბრამდე შეამოწმონ პოლიგანდაწესებულებათა საზამთრო მუშაობისათვის მზადყოფნა, რისთვისაც განათანყოფილებებთან შექმნან საკლუბო დაწესებულებების მიმღები კომისიები.

4. წინადადება მიეცეს ყვარელის, გურჯაანის, აღბულაღის და ბაშკიჩეთის განათლების განყოფილებათა გამგეებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები საკლუბო დაწესებულებათა ბიუჯეტის მთლიანად ათვისებისა და ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

5. დაევალოს აღბულაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. სიმონიშვილს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სოფ. ჯორჯიაშვილის კლუბის ყოფ. გამგის ამხ. დავრიშვილის კლუბში სამუშაოდ დაბრუნებისა და კულტურის სახლის დამხმარე შენობის სასადილოსაგან განთავისუფლებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, და შედეგი აცნობოს განსახკომს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე.

6. დაისვას საკითხი განსახკომის კოლეგიის სხდომაზე გურჯაანისა და ყვარელის განათლების განყოფილებების მხრივ საკლუბო მუშაობის შეუფასებლობისა და საკლუბო დაწესებულებებზე სრულიად ორგანიზმაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შესახებ.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

ბრძანება № 7466

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 20 დეკემბერი

სამუშაო სკოლებში სსრკ ისტორიის სწავლების დადგენილი წესის დარღვევის შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ საქ. სსრ ზოგიერთ საშუალო სკოლაში, სსრკ ისტორიის სწავლების ნაცვლად სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლის მიერ თვითნებურად შემოღებულია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სავალდებულო სწავლება, რაც ეწინააღმდეგება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას, რომლის თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სავალდებულო სწავლება გათვალისწინებულია მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან, თვით საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სწავლებაში საშუალო სკოლაში ადგილი აქვს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის აშკარა დამახინჯებას, როდესაც ჯერ კიდევ მცირე მომზადების მქონე მოსწავლეებს ეძლევათ სავალდებულო დავალებები ერთი გაკვეთილისათვის წაიკითხონ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“ მთელი თავი და ორი-სამი სტატია პირველ წყაროებიდან.

ჩაათვალოს არასწორად ის, რომ განსახკომის საშუალო სკოლის სამმართველო, აჭარის, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომები, სახ. განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეები გვერდს უვლიან მსგავს ფაქტებს და თვალყურს არ ადევნებენ სსრკ ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში. **ბრძანებს:**

1. აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის განსახკომებმა, სახ. განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებმა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან საშუალო სკოლებში საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სავალდებულო სწავლების თვითნებურად შემოღების ფაქტები და აკრძალონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსში გამოცდების წარმოება და ნიშნების დაწერა ამ სკოლების მოსწავლეთათვის.

2. დაევალოს აჭარის, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, სახ. განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებს და საშუალო სკოლის დირექტორებს — ამიერიდან დაუწესონ სისტემატური კონტროლი სსრკ ისტორიის სწავლებაზე საშუალო სკოლებში, ამასთან ერთად უზრუნველჰყონ აუცილებელი დახმარების გაწევა ისტორიის მასწავლებელთათვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სსრკ ისტორიის გაკვეთილების თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში.

3. დაევალოს აჭარის, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, სახ. განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებს — ეს ბრძანება დაიყვანონ საშუალო სკოლის თვითეულ დირექტორამდე და დაავალონ მათ საკითხი სსრკ ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

საქ. სსრ განათ. სახ. კომისარი ბ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 6952

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 2 ნოემბერს.

განსახკომის ინსპექტორთა ბრიგადებისაგან წარმოდგენილ მოხსენებათა შესახებ.

განსახკომის ინსპექტორთა ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ქ. თბილისის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, სსრკ ისტორიის, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის სწავლების გამოკვლევის შედეგების შესახებ დამტკიცდეს და დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ რესპუბლიკის ყველა სკოლას.

რესპუბლიკის ყველა რაიონში მეთოდ კაბინეტთან, განათლების განყოფილების გამგის პირადი ხელმძღვანელობით ჩატარდეს ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის მასწავლებელთა რაიონული თათბირები, სადაც დამუშავდეს საკითხი ქართული ენისა და ლიტერატურის, სსრკ ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ და დასასრულ იქნას სათანადო ღონისძიებანი ქართულ ენისა და ლიტერატურის, სსრკ ისტორიის, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის უკეთ დაყენებისათვის.

ინსპექტორთა ბრიგადის მოხსენება, რაიონული თათბირის შედეგები და ღონისძიებანი განხილულ იქნას ითითოეული სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და საუბნო მეთოდთათბირებზე.

შესრულების შემოწმება ჩატარდეს მესამე მეოთხედის ბოლოს და შედეგების შესახებ მომხსენდეს მე.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

მოხსენებითი ბარათი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის მე-5, მე-46, მე-104 საშ. სკოლებში.

1. პროგრამები და გეგმები.

ქართული ენისა და ლიტერატურისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები გამოკვლეულ სკოლებში ზუსტად არის დაცული, გაკვეთილები ცხრილშიაც სწორად არის შეტანილი.

ოფიციალურ პროგრამის საფუძველზე სკოლებს (მე-5, მე-46, მე-104 საშ სკ.) შედგენილი აქვთ წლიური გეგმები მე-5-10 კლ. ხოლო მე-3 და მე-4 კლ. აქვთ მხოლოდ პირველი მეოთხედის გეგმები, გეგმები თემატური სახით არაა წარმოდგენილი.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს პროგრამის არასწორად შედგენის შემთხვევებს. მაგ. მე-104 რუსული საშუალო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამიდან (მასწ. ფიჩხაია) პირველი მეოთხედის გეგმით მე-7 კლასში (ქართულ ენაში) გათვალისწინებულია მხოლოდ მარტივი წინადადების წევრების სწავლება, მაშინ, როდესაც მე-6 კლასში მეოთხე მეოთხედში მთავრდება ზმნის დროები, ხოლო მე-7 კლასში პირველ მეოთხედში გაელილ უნდა იქნეს: ზმნის ცვლა დრო-კილოებში (კავშირებით 1 და თურმეობითი 1).

სახე: სრული და უსრულო. გვარი: მოქმედებითი და ვნებითი. ვნებითის წარმოება.

ამის შემდეგ მასწავლებელი უნდა გადასულიყო მარტივი წინადადებების წევრების შესწავლაზე და პროგრამული მასალა, თანმიმდევრულად გაეგრძელებია, მაგრამ ეს ასე არ არის. მეექვსე კლასში მიღებული ცოდნა ზმნის შესახებ მე-7 კლასში უნდა დამთავრებულიყო და ამით ზმნის შესახებ მოსწავლეებს ექნებოდათ ერთიანი წარმოდგენა, მთლიანი ცოდნა, მაგრამ ზემოაღნიშნული საკითხები ყოველგვარი საფუძვლების გარეშე გამოუტოვებია მასწავლებელს, რის გამო მეშვიდე კლასში პროგრამული მასალა არ წარმოადგენს მე-6 კლასის პროგრამულ მასალის ბუნებრივ გაგრძელებას.

იმავე სკოლაში არა სწორად არის შედგენილი სამუშაო გეგმა ლიტერატურაშიაც მაგ. მე-8 კლასში სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია

„1. ეკ. გაბაშვილი — თინას ლეკური არსენას ლექსი
ილიას ბიოგრაფია
კაკო ყაჩაღი
ელეგია“.

მეცადინეობა მიმდინარეობს ამ გეგმის მიხედვით. ოფიციალური პროგრამა იწყება ფოლკლორით — „სტალინი ქვეყნის ბელადი.“ „ლენინის ხსოვნა“. ხალხური — „არსენას“ ლექსი“ და სხვა, რაც გამოტოვებულია. მასალის ასე გადაჯგუფება, თუ გამოტოვება სრულიად უსაფუძვლოა და გაუმართლებელია. თუ მიეიღებთ მხედველობაში მხატვრული ფაქტის ათვისების სიძნელეს, პირიქით ფოლკლორი თავისი მარტივი სახეებით, ენის უბრალოებით უფრო მეტ საწვდომია, გასაგებია, ვინემ მწერლის შემოქმედებითი ფაქტი.

სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია არ დაუშვას პროგრამულ მასალის უხეში გადაჯგუფება, სამუშაო გეგმები შესდგეს მოფიქრებით, კალენდარულ ვადებზე ზუსტად განაწილებით და უზრუნველყოს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში სავალდებულო პროგრამების თანმიმდევრული გავლა.

საშუალო სკოლის მოწაფეთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის კარგად გაცნობილი ლიტერატურის თეორიის საკითხებს. ცხადია აქ პირველ რიგში დამნაშავეა მასწავლებელი, რომელიც ლიტერატურის თეორიის საკითხებს სრულიად ივიწყებს, არ ასწავლის. ეს უკანასკნელი მტკიცდება გამოკვლეულ სკოლების მუშაობიდან. არც ერთ სკოლაში (მე-5, მე-104, მე-46 საშ. სკ.) სრულიად გაუგებარი მიზეზით არ ისწავლება პოეტიკის ელემენტები. არცერთ მასწავლებელს სამუშა გეგმებში არ შეუტანია პოეტიკის ელემენტები. ეს ლაპარაკობს აღნიშნულ მასწავლებლების დანაშაულებრივ გულგრილობის შესახებ.

არცერთ სკოლაში არაა უზრუნველყოფილი საგნის სწავლება დიდაქტიკური მასალებით, პლაკატებით, სქემებით. **საჭიროა გაკვეთილზე გამოყენებულ იქნეს პოეტიკის სავარჯიშო ტექსტები ომონიმებზე, სინონიმებზე, ეპიეტეტებზე, შედარებებზე, გაპიროვნებაზე, მეტაფორებზე და სხვ. აღნიშნული ტექსტების შედგენა თავისუფლად შეუძლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს,** მაგრამ როგორც გამოირკვა, ასეთების ცდაც არ ყოფილა. პირიქით, პირველ მეოთხედში გათვალისწინებულ ლიტერატურულ მასალის გავლასთან დაკავშირებით უგულებელყოფილია ფიგურალური მეტყველების სახეების, ჟანრების, ლიტერატურული მიმართულებათა სათანადო ცოდნის გამომუშავება.

მდგომარეობა ცალკეულ კლასების მიხედვით.

მე-2 კლასი (მე-5 საშ. სკოლა) მასწავლებელი დგებუაძე. გაკვეთილის მასალა— „შემოდგომა“. მასწავლებელი გაკვეთილისათვის მზად იყო; ჰქონდა გაკვეთილის გეგმა წესიერად შედგენილი. გამოკითხვით გამორკვა, რომ მოწაფეებს შეთვისებული ჰქონდათ წინა გაკვეთილი, რის გამოც ყველა ბავშვი აქტიურობას იჩენდა. მოწაფეებმა კარგად იცოდნენ სინტაქსური მორფოლოგიური მოვლენები და სწორად, მოფიქრებულად უკავშირებენ შესწავლილ მასალას. კარგად ერკვევიან წინადადებაში, რაც შედეგი იმისა, რომ მასწავლებელი დგებუაძე მარტივად და კონკრეტულად ატარებს სათანადო ვარჯიშს შესაფერის მასალასთან დაკავშირებით.

გაკვეთილზე ადგილი ჰქონდა ზოგიერთარა სწორ გარემოებას:

1. მაგ. ძველი გაკვეთილის გამოკითხვა ძირითადად მასწავლებელი აწარმოებდა კითხვების საშუალებით. ეს კი ზღუდავს მოწაფეს, არ აძლევს გასაქანს დამოუკიდებელი თხრობისათვის, რაც თავის მხრივ დამოუკიდებელ აზროვნებისათვის, თხრობისათვის, მეტყველების განვითარებისათვის უარყოფით ზეგავლენას ახდენს. სულ სხვა ახალი მასალის გადაცემის საქმე; ამ შემთხვევაში, **მასწავლებელი აუხსნის რა ახალ მასალას, საჭირო კითხვებით გაარკვევს თუ, როგორ აითვისეს ბავშვებმა, კითხვების დასმისა და სათანადო პასუხის მიღების შემდეგ მოსწავლე მოყვება წაკითხულის თუ გადაცემულ მასალის შინაარს და ა. შ.**

2. ახალი მასალის წაკითხვის დროს, ბავშვებს წიგნები გადაშლილი ჰქონდათ. მასწავლებლის წაკითხვისას ზოგიერთი მოწაფე კითხულობდა რა ძალზე ნელა, მასწავლებელი უსწორებდა, გამოდიოდა ისე, **რომ ზოგიერთ ბავშვს ესმოდა ერთი და კითხულობდა სულ სხვას.** ცხადია მასწავლებელს ჩვეულებრივი წესი უნდა დაეცვა **მასალის** პირველად წაეკითხვის დროს და შედეგიც უკეთესი იქნებოდა. გარდა ამისა გაკვეთილზე ადგილი ჰქონდა არა სწორ გამოთქმებს: „რისთვინ მიაქვენ თივა“ ენობრივი **საჭიროებ**ა და მასწავლებელმა ზუსტად უნდა დაიცვას. საჭირო იყო მასწავლებელს უზრუნველყოფა გაუგებარ სიტყვების ჩაწერა, დავალების დღიურში ჩაწერა.

მე-3 კლასი (მე-5 და მე-46 საშ სკ.)

მე-46 საშუალო სკოლაში მესამე კლასს ასწავლის მასწ. ნადარეიშვილი. გაკვეთილის მასალა ნ. ლომოურის მოთხრ. „წწყრის. ბუდე“. მოწაფეებმა კარგად იცოდნენ წინა გაკვეთილი, თავისუფლად მოყვნენ შინაარს, დაყვეს სურათებად და თვითეული სურათი აღწერეს. მასწავლებელმა კარგად გამოიყენა ძერას დამარცხება აღმზრდელობითი ხასიათის საუბრისათვის. უკეთესი იქნებოდა მოწაფეებს მწერლის გვარი დაესახელებია. მასწ. დამაკმაყოფილებლად ახერხებდა ენობრივ მაგალითებზე ვარჯიშს, მაგრამ ზოგჯერ ზუსტ განმარტებას ვერ იძლეოდა ან უკეთ, რომ ესთქვათ მკაფიოდ ვერ განმარტავდა ზოგიერთ საკითხებს: მაგ. ხშირად ხმარობდა ამგვარ გამოთქმას: „საგანს ვეძებთ წინადადებაში“, უკეთესია შეცვლილ იქნას შემდეგი სახით: „მოქმედს ვეძებთ წინადადებაში“ ან და „იმ საგანს, რომელსაც ეს მოქმედება მიეწერება“.

ასეთი განმარტება უთუოდ უკეთესად არკვევს ქვემდებარის ცნებას.

მასწავლებელი ქვემდებარის ცნების გასაგებად ძირითადად ეყრდნობა კითხვებს „ვინ“, „რას“, მაგრამ მესამე კლასის მოსწავლეებში ხშირად გაუგებრობას გამოიწვევს ისეთი მოვლენა, როდესაც ქართულ წინადადებაში ორ სახელს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი კითხვა — ვინ, რა? მაგ. **ანდრომ თავისი ძმისწული ყანაში წაიყვანა.** — ვინ წაიყვანა?

— ანდრომ წაიყვანა.

— ვინ წაიყვანა?

— თავისი ძმისწული.

ამ დგომარეობას მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

მე-5 სკოლაში მესამე კლასს ასწავლის მასწ.

ჭანიშვილი. ახალი მასალა: ტიხომიროვის „რკინისგზის დარაჯი“. ახალი მასალის გადაცემის დროს მასწავლებელი არა სწორად მოიქცა; ახალი მასალა პირველად თვითონ მოსწავლეებმა წაიკითხეს, ადგილი ჰქონდა ინტონაციის არა წესიერად ხმარებას. მასწავლებელს ახალი მასალა პირველად თვითონ უნდა წაეკითხა ინტონაციის დაცვით და მაგალითი მიეცა მხატვრული კითხვის ჩვენის გამომუშავებისათვის.

მართალია გაუგებარ სიტყვებს მასწავლებელი გზადაგზა ხსნიდა, მაგრამ საჭირო იყო გაუგებარი სიტყვები მოწაფეებს ჩაწერართ, რათა შინ დამოუკიდებელ მუშაობის პროცესში ჩაწერილ ახსნაგანმარტებებით ესარგებლათ ტექსტის ღრმად შესწავლისათვის.

ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ მასწავლებელმა სრულიად უგულებელყოფ ენობრივ (სინტაქსური) მოვლენებზე (თუნდაც ორი-სამი მაგალითით) მოწაფეთა ყურადღების გამახვილება. უნდა ითქვას, რომ ამ ხასიათის არცერთი შენიშვნა, არც ერთი შეკითხვა არ ყოფილა. ეს, მით უფრო არაა მოსაწონი, რომ **დაწყებით სკოლაში ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურას, როგორც ცალკე საგნებს არ ვასწავლით, მასწავლებელს ენობრივი მოვლენების გასარჩევად სპეციალური გაკვეთილი არ აქვს, ამიტომ საჭირო იყო, არის და იქნება ყოველ გაკვეთილზე ყოველი ტექსტი (მხატვრული ლიტერატურიდან) გამოყენებულ იქნას ენობრივ მოვლენების შესაფერისად გაცნობა-შესწავლისათვის.**

აქვე დავსძენთ,—მასწ. ჭანიშვილი ხშირად მხედველობიდან უშვებს მოსწავლეთა არასწორ გამოთქმებს და ინტონაციის დაცვას საჭირო ყურადღებას არ აქცევს;

განსაკუთრებით უნდა ითქვას ამ კლასის დისციპლინის შესახებ. კლასი ძალზე უდისციპლინოა, გაკვეთილზე ერთმანეთს ჩაქმეტენ, ფუსფუსებენ. სკოლის დირექციამ, მაგ. თვეე განცხადებით უძლური აღმოჩნდა აღნიშნულ კლასში სათანადო დისციპლინის დაცვის საქმეში. დირექცია, უდისციპლინობის მიზეზად ასახელებს საგნობრივ სისტემის შემოღებას მე-3 კლასიდან: — კლასი მიჩვეული იყო ერთ მასწავლებელს, ამჟამად რამდენიმე მასწავლებელი ასწავლის და ამან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დისციპლინის დაცემაზეო. რასაკვირველია ამ გარემოებას თავისებური ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, მაგრამ **უდისციპლინობის მიზეზი უნდა ვეძიოთ თვითონ ამ კლასის მასწავლებლებში, კლასის ხელმძღვანელის, დირექციის მუშაობაში, რადგან მათ ვერ შესძლეს სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა, აღმზრდელობითი საქმის სათანადო ორგანიზაცია.**

მე-5 კლასი (მე-46 საშ. სკ.)

მე-46 საშუალო სკოლაში მე-5 კლ. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ჭელიძე, ამხ. ჭელიძე მიმდინარე წლამდე ასწავლიდა მათემატიკას დაწყებით სკოლაში. მიმდინარე წელს დაამთავრა დ. პ. ი. ლიტერატურული ფაკულტეტი და პირველად ასწავლის ქართულ ენას ზედაკლასებში.

გაკვეთილის მასალა — ი. ჭავჭავაძის ლექსი: „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

ორგანიზაცია გაკვეთილისა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტექსტზე მუშაობას. მოწაფეებისათვის არ იყო გასაგები, მასწავლებელსაც არ განუმარტია ასეთი გამოთქმები:

„მათის ღვაწლით შეგექმნეს
სახე ბედით მთელია“.
„ვერ წაბილწავს მათს გრძნობას
სიმუხთლე, სიმრუდეა“.

ცხადია **მასწავლებელმა მხატვრული ნაწარმოების შესწავლის დროს უნდა ეცადოს ტექსტის ისეთი ანალიზი მოახდინოს, რომ მოწაფეებისათვის ყველა სპეციფიური საკითხები გარკვეულ იქნას.** შეიძლება აღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნოს ის ფაქტიც, რომ მხატვრული ნაწარმოების ენის ანალიზი იშვიათად თუ სწარმოებს. რასაკვირველია **ნაწარმოების ენის ანალიზი დამოკიდებულია ნაწარმოების სპეციფიკაზე და აღნიშნული უნდა მოხდეს არა მარტო ერთ ნაწარმოების შესწავლის დროს, არამედ ამას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და მეორეს მხრივ კარგი იქნება ნაწარმოების შესწავლის სხვადასხვა საფეხურს უკავშირებდეს, ანალიზს უკეთებდეს, რადგან ნაწარმოების ენის ანალიზი არის გარკვეული ეტაპი ნაწარმოების შესწავლის პროცესში.**

გამომსახველობითი საშუალებანი — ტროპები, ეპიტეტები, გიპერბოლა და საერთოდ პოეტური მეტყველების სახეები, რომლითაც პოეტს გადმოცემული აქვს იდეური და მხატვრული არსი, სისტემატურად ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, რაც მასწავლებელს არ მოუხდენია.

მე-6 კლასი (მე-46 საშ. სკოლა).

მე-46 საშ. სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურას ასწავლის **შარიქაძე.** გაკვეთილის მასალა ი. ჭავჭავაძის „გუთნის დედა“.

მასწავლებელი საკმაოდ მომზადებული იყო გაკვეთილისათვის, კლასი აქტიური. მასწავლებლის საანალიზო კითხვები კარგია. სწორად იყო დასმული საკითხები ნაწარმოების დედააზრის ამოსაწურავად. მასწავლებელმა მოსთხოვა მოწაფეებს „გუთნის დედის“ შინაარსის გადმოცემა, რაც მეტად უეფექტო და მხატვრული ემოციებისათვის გამოუყენებელი აღმოჩნდა. მოსწავლეებს საშინლად გაუჭირდათ „გუთნის დედის“ შინაარსის გადმოცემა.

ცხადია, მასწავლებელს არ უნდა დაავიწყდეს ლირიკული ლექსის შესწავლის ხერხები, **ლექსს პირველად მასწავლებელი კითხულობს, შემდეგ მოწაფეები. გაუგებარი სიტყვებისა თუ გამოთქმების განმარტების შემდეგ მოიძებნება დედააზრი, იდეა, მისი დასაბუთება.**

ამ გაკვეთილზედაც **არ მიექცა ყურადღება** პოეტიკის ელემენტებს, მაშინ, **როდესაც** ი. ჭავჭავაძის „გუთნის დედა“ **შესანიშნავ** მასალას **იძლევა** შედარებებისა, მიმართვისა და სიმბოლოებისათვის.

6 კლასი (მე-104 რუსული საშ. სკოლა) მასწ. ფიჩხაია.

დავალება მოწაფეებს **შესრულებული** ჰქონდათ. უნდა აღინიშნოს მასწ. ფიჩხაიას ცდა ქართული ენის ნორმალურად სწავლებისათვის; თარგმნითი მეთოდს, როგორც ერთერთ საშუალებას იყენებს მიზანშეწონილად. მოწაფეებს უსწრებს ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას, თუ კი დამახინჯებულად წარმოთქვეს. მიუხედავათ ამისა, ბავშვთა მეტყველება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგჯერ მოწაფეებს სიტყვები მექანიკურად აქვთ გაზეპირებული, ისე, რომ მისი შინაარსი არ იციან. ვერ ამბობენ განსხვავებულად „თ“-ს და „დ“-ს „წ“-ს და „ც“-ს, „ყ“-ს და „კ“-ს და ა. შ.

მე-9, მე-10 კლ.. (მე-5, მე-46 საშუალო სკოლა).

მე-9 კლასში (მე-5 საშ. სკ.) ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის **მარგველაშვილი.**

წინა გაკვეთილის მასალა — **გრ. ორბელიანის** ლექსები: „სალამი გამოსალმებასა“ და „პასუხი შვილთა“.

ახალი მასალა — მისივე ლექსი „ჩემს დას ეფემიას“. გაკვეთილის ორგანიზაცია სავსებით მართებული იყო: ძველის გამეორხვა, მთელი კლასის ამუშავება, ახალი მასალ.ს დროითი დაწყება და საშინაო დავალების მიცემა — ყველაფერი ეს წესიერად იყო მოწყობილი.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს დეფექტები: გაკვეთილის გამოკითხვა წარმოებდა კითხვა-პასუხით, მაშინ, როდესაც მეცხრე კლასის მოსწავლეებს მოეთხოვებათ დამოუკიდებელი ლოიკური მსჯელობა.

მასწ. მარგველაშვილმა ახალი მასალა ლექსი „ჩემს დას ეფემიას“ **არ წაიკითხა,** რაც დაუშვებელია. საერთოდ ყველა მასწავლებელი მე-5 კლასიდან ასე იქცევა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრულ ნიმუშს არ კითხულობს **წინასწარ**, რაც არ არის სწორი.

მე-10 კლასი (მე-46 საშ. სკოლა) **მასწ. ხვიჩია.**

მასწავლებელს აქვს სათანადო ცენზი და გამოცდილება გაკვეთილის ორგანიზებულად ჩასატარებლად.

გაკვეთილის მასალა იყო ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი". მოწაფეებს პოემა წასაკითხავათ ჰქონდათ მიცემული. გამოკითხვით გამოირკვა, რომ ზოგიერთ მოწაფეს პოემა არ წაუკითხავს, მაგრამ ვისაც ჰქონდა წაკითხული, იმათაც შინაარსი კარგად არ იცოდნენ, რის გამოც მასწავლებელს მოუხდა პოემის ადგილების წაკითხვა და ზოგიერთი ადგილი მოწაფეებს წააკითხა.

მასწავლებელმა კარგად აღნიშნა პეიზაჟის აღწერის ორი ხერხი. სასურველი იყო პეიზაჟის აღწერისას მიექცია ყურადღება იმ თავისებურებაზე, რომელსაც ვაჟას შემოქმედებაში საკმაო ადგილი უჭირავს; ცნობილია ვაჟას შემოქმედებაში საკმაოდ მოიპოვება ბუნების აღწერის მაგალითები განწყობილებისაგან დამოუკიდებლად.

ვინაიდან მასწავლებელი შეეხო პეიზაჟების აღწერის ხერხებს, საჭირო იყო მეათე კლასის მოწაფეებისათვის მიეცა ამ საკითხზე სრულყოფილი წარმოდგენა. მით უფრო ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ მოწაფეებს ჰქონდეს ცოდნა ვაჟას და ჯაზბეგის შესახებ პეიზაჟის აღწერის დარგში.

დისციპლინის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მოწაფეები ერთმანეთს არ აცლიან პასუხს და ამავე დროს აზრის დასრულებაში მასწავლებელსაც ხელს უშლიან.

მე-5 საშ. სკოლა მე-10 კლასი. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მასწ. მარგველაშვილი.

ცხრილში რატომღაც წერია „ქართული ენა", მაშინ, როდესაც საშუალო სკოლის მე-10 კლასებში ქართული ენა არ ისწავლება.

მასწავლებელი უეცურნალოდ შედის გაკვეთილზე, რის გამოც მოსწავლეთა ამოკითხვა (სიაც არ ქონდათ შედგენილი) არ მომხდარა.

გაკვეთილის მასალა იყო „გველის მჭამელი". პოემა მოწაფეებს მიცემული ჰქონდათ შინ წასაკითხავად.

გამოირკვა, რომ კლასის ერთმა ნაწილმა არ იცოდა პოემა, არ წაუკითხავთ. ვისაც წაკითხული ჰქონდა, იმათაც შინაარსი მტკიცედ არ იცოდნენ. მთელ რიგ ადგილებს სტოვებდნენ, ვერ იცავდნენ ამბავის თანამიმდევრულად გადმოცემას. ამის გამო მასწავლებელს, მოუხდა ასეთი კითხვის დასმა: — აბა, ვინ მეტყვის თუ რამე გამოგვრჩა.

ამ კითხვაზე მხოლოდ 6 მოწაფემ მოისურვა პასუხის გაცემა. ეს ფაქტიც ლაპარაკობს იმაზე, რომ მოწაფეებმა არ იცოდნენ პოემის შინაარსი. მათ სრულიად გამოსტოვეს ისეთი ადგილები, როგორიცაა მზიას შესახებ, სიზმარი და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ მოწაფეებს არ უვარგათ მეტყველება. თავისუფლად ვერ ყვებიან ამბავს, ღარიბია ლექსიკონი. სრულიად ვერ იყენებენ პოეტურ მეტყველებას, არ შეუქლიათ მხატვრული ადგილების სათანადოთ გადმოცემა, რის გამოც მასწავლებელს, როგორც წესი შემოღებული აქვს მხატვრული ადგილის წაკითხვა; მაგ. მოსწავლე ამბობს რა შინაარს, წიგნი გადაშლილი აქვს და როცა დასჭირდება პარალელურად კითხულობს მხტვრულ ადგილებს. ასეთი წესი არაა სწორი და აი, რატომ; — მოწაფეს შეუძლია ამათუთან ნაწარმოების შინაარსის შესწავლა სხვა ამხანაგის სშულებით, ისე, რომ მან ნაწარმოები თვითონ არ წაიკითხოს. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მოწაფეებმა ღრმად საფუძვლიანად არ იციან ტექსტი. იმის გამო, რომ მოწაფეებს მასწავლებლის ნებართვით ეძლევა საშუალება გამოძახების დროს ნაწარმოებს ღირსშესანიშნავი ადგილები თავისუფლად წაიკითხონ და ეს მათ არ ეთვლებათ ტექსტის უყოდნარობად, ამით მოწაფეებს არ ვაჩვევთ მხატვრულ მეტყველებას, პოეტურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილების თავისუფლად გამოყენებას, ლექსიკონის გამდიდრებას და ტექსტის საფუძვლიანად შესწავლას. სწორედ ეს არის მიზეზი, იმისა, რომ მეათე კლასის მოწაფეებს ერთის მოსმენით შეატყობთ ლექსიკონის სიღარიბეს და იმას, რომ ისინი არ სწავლობენ ტექსტს ინდივიდუალურად, საფუძვლიანად.

წერითი მუშაობა:

გამოკვლეულ სკოლებში ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ წერითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

მე-5 საშ. სკოლა: რვეულები ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს; მოწაფეთა უმრავლესობა ბევრ შეცდომებს უშვებს, განსაკუთრებით ორთოგრაფიაში. ხელი ცუდია. რაც მთავარია მე-3 და მე-4 კლასებში მასწავლებელი გამოწერის საშუალებით მოწაფეებს არ აძლევს დაწერილობის ნიმუშებს. მოწაფეები არ იცავენ აბზაცებს (მათთვის გაურკვეველია, თუ რა არის აბზაცი). ვინაიდან მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ორთოგრაფიულ შეცდომებს, თვითონ არ აძლევს სწორ წერის ნიმუშებს და საერთოდ შეიძლება ითქვას არა გულისხმირად ეკიდება წერითი ნამუშევართა გასწორებას, მოწაფეთა წერითი ნამუშევრებში უმრავია კუნძულოვანი დამახინჯებანი: შინარსი, გაიზდება, დაესენენ, სახში, დაავიწყეთ, მეთად, მხიარება, ბნება, ჩემა, ბაღეიძა, შიაბა, და სხვ.

გვხვდება ასეთი ფრაზები: „ვირი და აქლემი გასუქნეს, შემდეგ ჭკითხა როდინდ ლისათვის მოვამზადოთ“, „გაყმარჯოს საბჭოთა ახალ გაზდებას“, „იმ ყამეს დედამ ბაადვიძა“ და სხვ.

მეტად ცუდია ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთ მოწაფეს დავიწუყებული აქვს „უ“-ს წერა და წერს „ყ“-ს, „ღ“-ს ნაცვლად „ყ“-ს (მე-5 საშ. სკ.) და სხვ.

მე-7 კლასში შედარებით შინაარსიანი ნამუშევრებია, მაგრამ კალიგრაფია მაინც არ ეარგა. დამახინჯებულად დაწერილ სიტყვების გამოწერა არ ხდება.

მე-8, მე-9, მე-10 კლასების წერითი ნამუშევრები შედარებით უკეთესია, მაგრამ მთავარია ის, რომ ზოგს თემა არ აქვს ამოწურული, შესავალი ვაჭიანურებულია, დახასიათების ნაცვლად ხშირად წარმოდგენილია უმთავრესად შინაარსი, თემის არა თანმიმდევრულად, არა ღრმად და საფუძვლიანად დამუშავება.

მე-46 საშ. სკოლის მე-3 და მე-4 კლასებში (მასწ. ნ. ნადარეიშვილი) რვეულები ძალზე უსუფთოაა. ხელი ცუდია. მასწავლებელი სათანადოთ არ აწარმოებს დამახინჯებულად დაწერილი ასო-სიტყვების გამოწერას. აქაც მასწავლებელი არ აძლევს დაწერილობის ნიმუშს. გასწორების დროს მასწავლებელი სტოვებს შეცდომებს. ზოგი რვეული წითელი ფანქრითაა გასწორებული. წერითი ნამუშევრები შინაარსის მიხედვით მეტად ღარიბია. არც ამ სკოლის მოწაფეები არიან დაუფლებული აბზაცების ხმარებას.

მე-2 კლასის (მასწ. თ. გილაშვილი) მე-5 კლასის (მასწ. მარიამ ჯელიძე) და სხვ. მოწაფეებს მასწავლებელთა მიერ დამახინჯებულ სიტყვების სწორი წერის ნიმუში არ ეძლევათ, არ ჩანს მოწაფეთა დამოუკიდებელი ინდივიდუალური სახე, უნარი, ცოდნა. წერითი ნამუშევრებით ირკვევა, რომ (მე-9 კლასი) მოსწავლეთა საერთო განათლების დონე ძალზე დაბალია.

მე-104 რუსული საშ. სკოლის ყველა კლასებში (მე-5, მე-10 კლ.) წერის ერთი სახეა გაბატონებული, სახელდობრ კარნახი. უნდა ითქვა, რომ ზოგჯერ საკარნახო ტექსტი იწყება ასეთი სიტყვებით: „შემდეგ როცა... და სხვ.

საკარნახო ტექსტი გარკვეულ აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი უნდა იყოს. მაგ. ასეთი სახის: კარნახი ჩატარდა „დავითმ როგორ შეინარჩუნა ბერძნების ქონება“. **აუცილებელია კარნახი-სათვის კარგად შერჩეული, მოფიქრებული ტექსტი ჰქონდეს მასწავლებელს წინასწარი გათვალისწინებული, თორემ შემთხვევით აღებული მასალა, არაა მიზანშეწონილი გა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებულ იქნას კარნახისათვის. ამასთანავე უნდა შეეწინოთო, რომ მასწავლებლის მიერ გასწორებულ რვეულში ხშირად შეგვხვდება დამახინჯებული სიტყვები, რომელიც არაა გასწორებული.

ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ გეგმაში მოწოფეებს ჩაწერილი აქვთ გაუგებარი ფრაზა: **„კაკოს ცხენის მოქმედება და მისი გაღვიძება“** გაურკვეველია „გაღვიძება“ ვის ეხება. მასწავლებელს შემოუღია წესათ ბრამატიკიდან წესების რვეულში ჩაწერა, მაგრამ ხშირად წესები სათანადო მაგალითებით არაა ახსნილი და ხდება წესების უშინაარსოდ, მექანიკურად დასწავლა; მაგ. კ. ვართანოვს უწერია უქვემდებარო წინადადების, მარტივი წინადადებების მშრალი განმარტება, მაგრამ მაგალითები არ აქვს დაწერილი. საკლასო წერა ტარდება საშინაო რვეულში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება; თვითეული სკოლის მასწავლებელი თავისებურად ფიქრობს წერითი მუშაობის რაოდენობაზე და რვეულების გამოყენებაზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა, ამთავითვე უნდა გაამახვილონ ყურადღება ზემოაღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად; მასწავლებლებმა გულდასმით უნდა შეარჩიონ საწერი თემები, საკრნახო ტექსტები. ყოველი წერითი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ გულდასმით იქნეს გასწორებული და საჭირო შემოხვევაში მოწაფეებს მისცეს სიტყვების სწორი წერის ნიშნები. წერითი ნამუშევრებში უნდა ჩანდეს მოწაფის დამოუკიდებელი ინდივიდუალური სახე, უნარი, ცოდნა. წერითი ნამუშევრები სისტემატურად გასწორდეს, შეფასდეს და გასწორების თარიღის აღნიშვნით ხელმოწერილი უნდა იქნეს საგნის მასწავლებლის მიერ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშინაო წერითი სამუშაოების ორგანიზაციას. საშინაო წერითი სამუშაოები გასწორდეს სისტემატურად ისე, რომ მიღწეულ იქნას მეოთხედში თვითეულ მოწაფის წერითი ნამუშევრის განხილვა და შეფასება.

საკლასო და საკანტროლო წერითი მუშაობისათვის შემოღებულ უნდა იქნეს ერთი რვეული: საშინაო წერისათვის ცალკე და სალექსიკონო მუშაობისათვის I კლასიდან ვიდრე VIII კლასამდე ცალკე.

წერითი სამუშაოთა რაოდენობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში კლასების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით;

მე-5 კლასში — თვეში 5 საკლასო წერა და იმავე რაოდენობის საშინაო წერითი სამუშაო.

მე-6 კლასში — თვეში 4 საკლასო წერა და იმავე რაოდენობით საშინაო წერითი სამუშაო.

მე-7 კლასში — თვეში სამი საკლასო წერა და იმავე რაოდენობის საშინაო წერითი სამუშაო.

მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში — მეოთხედში სამი საკლასო და ოთხი-ხუთი საშინაო წერითი სამუშაო.

აქვე დავსძენთ, რომ ზემოაღნიშნულ სამუშაოთა რიცხვში ჩაითვლება საკონტროლო სამუშაოებიც. საკონტროლო სამუშაო უნდა მოეწყოს ყოველი მეოთხედის ბოლოს და პროგრამის ამათუიმ მთლიანი მონაკვეთის დასრულების შემდეგ.

გამომკვლე ბრიგადას საჭიროდ მიაჩნია, გამოკვლევის შედეგები განხილულ იქნას საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, რაიპედკაბინეტებში და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რიონულ თათბირზე.

გამომკვლევთა ბრიგადა:

ბ. ჩიქობავა

არჩ. ჩაჩიბაია

კ. გაგუა.

მოხსენებითი ბარათი ქ. თბილისის მე-51, მე-55 და მე-68 საშუალო სკოლების მე-4 კლასებში სსრკ-ის ისტორიის სწავლების გამოკვეთის შედეგების შესახებ.

მე-51 სკოლაში:

მე-4 კლასებში საბჭოთა კავშირის ისტორიას ასწავლის მასწ. ვ. შენგელია, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლიტერატურის დარგი. შემოწმებულ იქნა ოთხი გაკვეთილი მე-4 კლასებში.

მე-4 კლასში მასწავლებელმა აწარმოვა შინმიცემული დავალების გამოკითხვა — („ეკატერინე მეორის მიერ ახალი მიწაწყლის დასახლება“). კლასი მოდუნებული და პასიურია. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო გაკვეთილის დალაგებით და თანმიმდევრობით გადმოცემა; მნიშვნელოვანი მომენტები ყველამ გამოსტოვა. პოლონეთის განაწილების შესახებ საუბრის დროს არაფერი თქმულა ავსტრიისა და პრუსიის შესახებ (რუსეთზე მიკუთვნებული ტერიტორიის დასახლება და სხვ.). მოსწავლეებმა ვერ გააუქეს ეს საკითხი და მასწავლებელიც არ შეეცადა მოეგონებინა მოსწავლეთათვის ეს მნიშვნელოვანი მომენტები. ზოგიეთი ფაქტი არა სწორად იქნა განმარტებული, მაგალითად, „სუვოროვმა დაიპყრო დარუბანდი და ბაქოო“, მაშინ, როდესაც ეს ტერიტორია შემოერთებულ იქნა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს და სუვოროვს სრულებით არ სჭირდებოდა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ბრძოლა; „ეკატერინე მეორემ ააგო ციხე-სიმაგრე აზოვი“-ო—და სხვა მსგავსი შეცდომები, რომელსაც უშვებდნენ მოსწავლეები გაკვეთილის მოყოლის დროს და რომელსაც მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევდა და გაუსწორებელს სტოვებდა. ისტორიის სწავლებაში მოსწავლეთა მიერ ფაქტიურ მასალების გადმოცემისას დაშვებული შეცდომის გაუსწორებლობა კი მასწავლებლისათვის მიუტოვებელია.

ახალი მასალის („საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, ეკატერინე მეორისა და პავლე პირველის ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ“) — ახსნის დროს მასწავლებელი მოკლედ მაინც უნდა შეეგზოდა, იაკობინელებს და მათ როლს რევოლუციაში.

ახალი მასალა მოცულობით დიდი იყო; ასე დიდი მასალის მაცემა ერთ გაკვეთილად არ შეიძლება, რადგანაც მოსწავლეები მას ვერ დაძლევენ. განმარტებას საჭიროებდა საკითხები: რატომ მოეკვა მსხვილი ბურჟუაზია, და არა მუშები და გლეხები, ხელისუფლების სათავეში, რას შეეხო რადიშჩევი თავის წიგნში, ნაპოლეონ პირველისა და პავლე პირველის შეთანხმების მიზეზები, მიზანი და სხვ.

თქმა რომ „პავლე პირველი მოჰკლა ხალხმა“ — ზოგადი და არასწორია. საჭირო იყო პავლე პირველის მკვლელობის და მისი ნამდვილი მიზეზის შედარებით უფრო ფართო განმარტება. ამ გაკვეთილზე თვალსაჩინოება არ ყოფილა გამოყენებული. მასწავლებელს არ მოუხდენია განზოგადობა იმისა, რომ 1789 წლის რევოლუციამ, მართალია მოსპო ფეოდალური ექსპლოატაცია, მაგრამ დაამყარა ახალი, კაპიტალისტური ექსპლოატაცია. ამ ფაქტზე მითითება მოსწავლეს ხელს შეუწყობს თანდათანობით გაერკვეს ფორმაციის ცნებასა და ექსპლოატაციის ფორმების სხვადასხვაობაში, რომლის გაგებისათვის ზემოაღნიშნულისა და სხვა მსგავსი ფაქტების წინასწარ მკვეთრად გაცნობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მე-4 კლასში მასწავლებელმა აწარმოვა საშინაო დავალების („ბეფის რუსეთი ევროპის ჟანდარმი“) გამოკითხვა. გამოძახებული მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად პასუხობდნენ. ზოგიერთი მათგანი უშვებს უხეშ ქრონოლოგიურ შეცდომას, მაგალითად, ერთი მოსწავლე აღნიშნავს:, რომ „საფრანგეთში რევოლუცია მოხდა 1880

წელს", ნაცვლად — 1789 წლისა. ეს შეცდომა მასწავლებელმა ვერ შეამჩნია. საჭირო იყო პოლონეთზე საუბრის დროს მასწავლებელი ძალიან მოკლედ შეხებოდა თანამედროვე პოლონეთს, პოლონეთ-გერმანიის ომის შედეგებს, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლებას პოლონელ პანების ბატონობის მძიმე უღლისაგან. ამ მოვლენის განმარტება აუცილებელია მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისითაც;

საჭიროა გამახვილდეს ყურადღება მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის მოყოლის დროს დაშვებულ შეცდომების გასწორებისადმი. მაგალითად, გამოძახებულმა სამმა მოსწავლემ 1789 წლის რევოლუციის თარიღად დაასახელა 1849 წელი, რაც მასწავლებელს გაუსწორებელი დარჩა. იაკობინელთა კლასობრივი შემადგენლობის განმარტების დროს, მასწავლებელმა შეცდომით დაახასიათა იაკობინელები, როგორც თავად-აზნაურთა რევოლუციური ნაწილი; მაშინ, როცა იაკობინელები იყვნენ წარმომადგენლები III წოდებისა, — სამი საზოგადოებრივი კლასისა (ბურჟუაზიის ქვედა ფენა, გლეხობა, მუშები და ხელოსნები).

ოთხი მოსწავლის მიერ წინა გაკვეთილზე დამუშავებული მასალის გადმოცემის შემდეგ, მასწავლებელმა ისევ მიმართა ძველი მასალის კატეხიზაციას, რომელიც 20 წუთს გაგრძელდა; ამის გამო ახალი მასალა — „მეფე ალექსანდრე I და 1812 წლის ომი", „საქართველოს შეერთება რუსეთთან" — ძალიან მოკლედ (12 წუთში) იქნა ახსნილი, რაც არაა სწორი და გაკვეთილისათვის ცუდად მომზადებას უნდა მიეწეროს. ამასთან, ახალი მასალის ახსნისას მასწავლებლის მიერ საკმაო სიცხადით ვერ იქნა გარკვეული საზღვაო გზებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა. არასწორად იყო აგრეთვე მასწავლებლის შემდეგი განმარტება: „ალექსანდრე I-მა ომი გამოუცხადა ნაპოლეონ 1-ს", სიტყვიერ „ომი პირველად ნაპოლეონმა გამოაცხადა და დაიწყო კიდეც, ეს ბუნებრივი იყო, რადგან ტილზიტის ხელშეკრულება პირველად რუსეთმა დაარღვია.

მე-4 კლასში გამოკითხვის დროს („მეფის ძალაუფლების დამხობა") არ იყო განმარტებული საფრანგეთის წინააღმდეგ ეკატერინე მეორისა და პავლე I-ის ბრძოლის მიზანი. აღნიშნულ იქნა, რომ რუსეთმა დაარღვია ტილზიტის ხელშეკრულება, მაგრამ ამ ხელშეკრულების დარღვევის მიზეზი განუმარტავი დარჩა. მასწავლებლის მიერ დასმულ ფრონტალურ კითხვებზე მოსწავლეთა პასუხებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები კარგად იცნობენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას. გამოკითხვის დროს მასწავლებელმა კვლავ დაუშვა შეცდომა პავლე პირველის მკვლელობის შესახებ. მან განმარტა, რომ „პავლე I მოკლეს იმიტომ, რომ მან აკრძალა ფრანგული ენა და სტამბები"-ო, მაშინ როდესაც პავლე პირველის მკვლელობა მასწავლებელს უნდა განემარტა, როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც უშუალო შედეგი იყო ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტისა, რადგან ინგლისთან ვაჭრობის შეწყვეტით რუსეთის თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი ნედლეულის საუკეთესო ბაზარი და სამრეწველო საქონლის იმპორტის მნიშვნელოვანი წყარო.

ახალი მასალა: — „მეფე ალექსანდრე პირველი და 1812 წლის ომი" და „საქართველოს შეერთება რუსეთთან" — ძირითადად კარგად იქნა გამუქებული. მაგრამ მასქონდა ნაკლიც: ახალი მასალის ახსნა გაგრძელდა ზუსტად 10 წუთს, ხოლო ამ მასალის გარშემო საკონტროლო კითხვების დასმამ და მოსწავლეთა პასუხებმა გასტანა 12 წუთს, რამაც გამოიწვია მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტების არასაკმაო გარკვეულობით განმარტება (მაგ. საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზანი და მნიშვნელობა და სხვ.).

კატეხიზაციის შემდეგ დაიწყო მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული მასალის წაკითხვა; უნდა მომხდარიყო ეი პირიქით: ჯერ ლიტერატურული მასალის წაკითხვა და შემდეგ კატეხიზაცია.

მე-4 კლასში წინაგაკვეთილებთან შედარებით, დამაკმაყოფილებლად იყო გამოყენებული თვალსაჩინობა: რუკა, სურათი; მხოლოდ მასწავლებელმა სწორად და გასაგებად ვერ განმარტა სიტყვა „ზავი"; არ იყო განმარტებული აგრეთვე უცხო სიტყვები: „ინტერვენცია", „ემიგრატები" და სხვ. მე-4 კლასის მოსწავლეთათვის ამ სიტყვების განუმარტავად დატოვება შეუძლებელია. ნაპოლეონ პირველის გადასახლების შესახებ ლაპარაკის დროს, საჭირო იყო რუკაზე იმისი ჩვენება, თუ რამდენჯერ, როდის და სად გადასახლეს ნაპოლეონი. მასალის ახსნის დროს სწორად ვერ იქნა განმარტებული „საღვთო კავშირის" მიზანი („1812 წლის ომიდან"). მასწავლებელს უნდა განემარტა რომ „საღვთო კავშირის" მთავარი მიზანი იყო ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. არაფერი თქმული გენერალ კუტუზოვის შესახებ, ბოროდინოს ბრძოლის და ლეგეთა პარტიზანული ომის შესახებ. ეს თემები საუკეთესო მასალას იძლევიან საბჭოთა პარტიზანტიზმის აღზრდისათვის, რასაც ისტორიის თითოეულ გაკვეთილზე უნდა მიეცეს ჯეროვანი ყურადღება.

მასწ. შენგელიას აქვს შესაძლებლობა უფრო უკეთ დააყენოს ისტორიის სწავლების საქმე, თუ კი სისტემატურად მოემზადება თითოეული გაკვეთილისათვის და მეტი მონდომებით მოკიდებს ხელს ამ საგნის სწავლებას.

მე-55 სკოლაში:

ისტორიას მე-4 კლასებში ასწავლის მასწ. **დოლენჯაშვილი.** წინა გაკვეთილის მასალის მომზადების შემოწმებისას (გაკვეთილის მასალა: „ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში") — მასწავლებელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ორი სამი ძლიერი მოსწავლის გამოკითხვით. მასწავლებელს ფრონტალური კითხვები არ დაუსვამს. კლასის ცოდნის შემოწმებისა და განმტკიცების მიზნით, ასეთი კითხვები აუცილებელად საჭირო იყო. გამოკითხვის დროს მასწავლებელს, მასალაში მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული სახელების ჩვენებისათვის. მოსწავლე რუკასთან უნდა გამოჰყავდეს, რასაც ხსნებულ გაკვეთილზე ადგილი არ ჰქონია. მასწავლებელი დფაზე სწერს ახალი გაკვეთილის სათაურს. ეკონომიკა, მაგრამ უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომას. უმჯობესი იქნებოდა, ჯერ მოკლედ განემარტა გაკვეთილის მიზნდასახულობა და შემდეგ სათაური დაესახელებია. მასწავლებლის თხრობა ძალზე მშრალი და სქემატიური იყო. კლასში 40 მოსწავლიდან გაკვეთილის მოსაყოლად ხელი ასწია მხოლოდ 7-მა. გაკვეთილის მოყოლის დროს ისტორიულ პირთა სახელებს მოსწავლეები დამახინჯებულად წარმოსთქვამდნენ, რაც მხედველობიდან რჩებოდა მასწავლებელს.

ახალი მასალის გადაცემისათვის, როგორც გამოირკვა, მასწავლებელი კმაყოფილდება მხოლოდ იმ მასალით, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული, საჭიროა მასწავლებელმა გაკვეთილზე სხვა ლიტერატურული მასალაც გამოიყენოს. ამასთან, საჭირო იყო ისიც განემარტა მასწავლებელს, თუ რატომ იყენენ მემამულეები უკმაყოფილონი პავლე 1-ლის მეფობით. რუკა გამოყენებულ იქნა არა გაკვეთილის თხრობის დროს, არამედ ამ თხრობის დასრულების შემდეგ; საჭიროა რუკაზე მოცემულ ადგილებზე მოსწავლეებს მივუთითოთ გაკვეთილის შინაარსის თხრობის პროცესში. გაკვეთილის დროს დფაზე ამათუიმ სახელის დაწერა უნდა ხდებოდეს თანამიმდევრულად და გარკვევით, წინაადმდგ შემოხვევაში მოსწავლეები მას დამახინჯებულად გადაიწერენ. მაგალითად, საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღი — 1801 წელ ისე გაურკვევლად იყო დაწერილი, რომ მოსწავლეებმა იგი 1807-ად წაიკითხეს.

ახალ მასალაზე თხრობის დროს მასწავლებელი ზოგჯერ ძიზეზობრივ კავშირ მოვლენათა შორის არ ამყარებს. მაგ., მა არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო გაწყვეტილი რუსეთის მიერ კავშირი ინგლისთან. ა მზრდელობით მუშაობას ისტორიის გაკვ თილზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ა მხრივ მეტად კარგი მასალა: „საფრანგეთ ბურჟუაზიული რევოლუციის წინაადმდ

ბრძოლა“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ — გამოუყენებული დარჩა. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა სწორ მეტყველებას: მოსწავლეები ამბობდნენ: „მსხვილი ბურჟუაზიები სასტიკად უსწორდებოდნენ თავადაზნაურობას“, „უხდებოდნენ გლეხობას ცხოვრება“ და სხვ., რაც მასწავლებლის მიერ არ იყო გასწორებული.

ზოგიერთი შემთხვევაში მასწავლებელი იმ რიგად სვამს კითხვას, რომ მაზე პასუხი ამოიწურება „„ჰო“ ან „არა“-თი. ახალ მასალაზე ვარჯიშის დროს მთელი კლასი იჩენს პასიურობას. გაკვეთილისათვის საჭირო დრო რაციონალურად არ იყო განაწილებული. გაკვეთილის ბოლოს საჭირო იყო მოსწავლეებს მისცემოდა დავალება ქრონოლოგიური ცხრილის შედგენის და სხვათა შესახებ, რაც სისტემატურად უნდა იწერებოდეს ისტორიის რვეულში.

მასწავლებელი დოლენჯიშვილი ახალგაზრდა მასწავლებელია, პირველი წელია, რაც ის მასწავლებლობს, მაგრამ მას აქვს დამთავრებული ისტორიული დარგი და მოეპოება სათანადო ცოდნა და უნარი ისტორიის სწავლების საჭირო სიმაღლეზე დაყენებისათვის, თუ კი სკოლის ხელმძღვანელობა და განათლების ორგანოები გაუწევენ მას დახმარებას და საკმარისი ხელმძღვანელობას.

მე-68 სკოლაში:

ამ სკოლაში ისტორიას ასწავლის მასწავლებული **კუბანიშვილი.** შემოწმებულ იქნა 3 გაკვეთილი. მასწავლებელს აქვს გაკვეთილების გეგმები, მაგრამ ისინი არადამაკმაყოფილებლადაა შედგენილი: გეგმებში არ ჩანს ბალი მასალის გადაცემისას თუ რა მომენტებზე შეჩერდება მასწავლებელი და რორ დაამუშავებს მას კლასში. მასწავლებელი ნაკლებად იყენებს დიდაქტიკურ მასალას. არა აქვს ისტორიული რუკები და ისტორიული სურათები, სუსტად არის გამოყენებული სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციებიც. პროგრამის გავლაში ადგილი აქვს ბორჩენას 3 გაკვეთილით (1/X-თვის). გაკვეთილები „ყირიმის დაპყრობა და უკრაინის დამორჩილება“, „დაპყრობანი ყაზახეთსა და შორეულ ჩრდილოეთში“ — მოდუნებულად და არასინტერესოდ ჩატარდა. გაკლილი მასალის ათვისების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ 25 და 27 სექტემბერს თითქმის მთელმა კლასმა არ იცოდა გაკვეთილი. გაკვეთილის გადმოცემა მთლიანად ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო. მასწავლებლის მიერ დასმული ზოგიერთი კითხვა დაზუსტებული არ იყო. კლასი ძალზე პასიურია, გაკლილი მასალის გამოკითხვას მასწავლებელმა მოანდომა 28 წუთი. ახალი მასალა ახსნილ იქნა ერთ გაკვეთილზე 5 წუთის, ხოლო მეორე გაკვეთილზე 3 წუთის განმავლობაში. მართალია, ახალი მასალა ძალიან მცირე მოცულობის იყო, რადგან მოსწავლეებმა წინა გაკვეთილი არ იცოდნენ, მაგრამ საერთოდ, გაკვეთილზე დროის ამგვარად განაწილება დაუშვებელია. მასწავლებლის თხრობა წიგნური, მშრალი და სქემატურია. საჭიროა ისტორიის გაკვეთილი ტარდებოდეს საინტერესო და მიმზიდველ ფორმებში. წინაადმდეგ შემთხვევაში კლასის დიდი უმრავლესობა ვერ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას გაკვეთილის პროცესში. მასწავლებელმა დაასახელა პოლონეთის აჯანყება, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა იყო ამ აჯანყების მიზეზი, სულ გამორჩა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობა; გაკვეთილზე არ იყო გაშუქებული აღმზრდელობითი მომენტები, არ ხდება გაკვეთილის პროცესში მთელი რიგი მომენტების დაკავშირება და პარალელების გავლება თანამედროვეობასთან. მასწავლებელმა პუგაჩოვის აჯანყების მიზეზები დაახასიათა მეტად მოკლედ და არაამომწურავად. საჭირო კი იყო უფრო ფართოდ შეხებოდა ამ საკითხს და მოეყვანა მაგალითები მსგავსი ისტორიული ფაქტებიდან. მასწავლებელს გაუსწორებელი დარჩა მოსწავლის მიერ შეცდომით ნათქვამი წინადადება: „პუგაჩოვი გადასცეს მეფე ალექსანდრე მეორესო“. ყირიმის ომის შესახებ თხრობის დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელს არ უჩვენებია რუკაზე ომის ადგილები და სხვ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელ კუბანიშვილს გამოცდილება და სტაჟი არ აკლია, მაგრამ სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის და სუსტად მუშაობს თავისთაგზე; საჭიროა ამხ. კუბანიშვილმა უფრო მეტი გულისხმიერება და მონდომება გამოიჩინოს დაკისრებული მოვალეობისადმი, რათა სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ისტორიის სწავლების საქმე სკოლაში.

დასკვნა: უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის მე-51, მე-55 და მე-68 **სკოლების** მე-4 კლასებში, მიუხედავად ზემოაღნიშნული ზოგიერთი მიღწევებისა, სსრკ-ის ისტორიის სწავლება არ არის აყვანილი სათანადო სიმაღლეზე. ისტორიის სახელმძღვანელოს არსებობის პირობებში ამ კლასებში საუკეთესოდ უნდა იყოს დაყენებული ისეთი საინტერესო საგნის სწავლება, როგორიც არის ჩვენი დიადი ქვეყნის, — სსრ კავშირის ისტორია. არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სსრკ ისტორიის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს გამორკვეულ სკოლების დირექტორებსა და სსრკ ისტორიის მასწავლებლებს დაუყოვნებლივ უკუაგდონ გაკვეთილისათვის ტრაფარეტული გეგმების ფორმალური თვალსაზრისით შედგენის უმართებულო პრაქტიკა და თვითეული გაკვეთილისათვის საჭირო ლიტერატურის მასწავლებლის მიერ წინასწარ საფუძვლიანი დამუშავებით უზრუნველყონ გაკვეთილის გეგმის ამგვარად შედგენა, რომ მასში ასახულ იქნას, როგორც წინა გაკვეთილზე განვლილი მასალის ათვისების შემოწმების, ისე, განსაკუთრებით, ახალი მასალის გადაცემის თანმიმდევრობის ყველა ძირითადი მომენტი.

2. თვითეული გაკვეთილისათვის დასმით მზადებითა და გაკვეთილის ცოცხალ და მიმზიდველ ფორმებში ჩატარებით მიღწეულ იქნას გაკვეთილის ხარისხის რადიკალური გაუმჯობესება და მოსწავლეთა მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისება.

3. მასწავლებელთა მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რუკაზე ორიენტირების საქმეში მოსწავლეთა შორის მტკიცე ჩვევების გამომუშავებას.

4. სისტემატურად გამოიყენონ თვალსაჩინობა: რუკები, ისტორიული სურათები, ისტორიული ალბომები და სხვ.

5. სახელმძღვანელოს სათანადო თავების შესწავლასთან დაკავშირებით სისტემატურად მოეწყოს ექსკურსიები საქ. ისტორიულ და რევოლუციის მუზეუმებში.

6. გაკვეთილის ახალ მასალაში მოცემული ისტორიული სახელები და ისტორიული ფაქტების ქრონოლოგია საჭიროა სისტემატურად დაიწეროს დაფაზე მასწავლებლის მიერ და უზრუნველყოფილ იქნას თითოეულ მოსწავლის მიერ მათი გადაწერა ისტორიისათვის განკუთვნილ რვეულებში.

7. ხატვის მასწავლებლის დახმარებით მოეწყოს მოსწავლეთა მიერ ისტორიის რვეულებში ისტორიულ პირთა სურათების ჩახატვა.

8. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა გამართულ თხრობას, რათა მიაჩვიონ ისინი ისტორიულ ამბების მთლიანად და თანმიმდევრობით გადმოცემას და სწორმეტყველებას.

9. გამახვილდეს ყურადღება გაკვეთილის მსელელობისას პოლიტაღმზრდელობით მომენტებზე იმგვარად, რათა თითოეული გაკვეთილი გაიყოლინოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და კომუნისტური ჩვევების აღზრდის საკითხებიან.

10. დაევალოს გამორკვეულ სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამ-

გეებს გადამწყვეტი ზომები მიიღონ სკოლაში მეთოდური მუშაობის გარდაქმნისათვის, კერძოდ, ისტორიის მასწავლებელთათვის უზრუნველყონ სკოლაში საგნობრივი კოლმისიების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, რათა გაკვეთილის ორგანიზაციისა და სსრკ ისტორიის სწავლების გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარების მიზნით, ღია გაკვეთილების მოწყობით, ისტორიის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის აუცილებელ დამხმარე წიგნებისა და პერიოდული ლიტერატურის მომარაგება-დამუშავებით, სახელმძღვანელოს ცალკეულ თავებისა და ფრაგმენტების გაფართოება გაღრმავებისათვის მოსახსენებების მოწყობით და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შეუნელებელი მუშაობით უზრუნველყონ სკოლაში სსრკ ისტორიის სწავლებას მაღალ საფეხურზე დაყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომკვლევი ბრიგადა:

1. ვლ. ქვილითაია
2. კ. მენაღარიშვილი
3. მ. მამფორია
4. ბ. დოლიძე

მოსახსენებითი ბარათი ბუნებისმეტყველების სწავლების მდგომარეობის შესახებ თბილისის მე-65, მე-55, მე-109 და მე-24 სკოლებში.

ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში გასულ წლებთან შედარებით სკოლების უმრავლესობას სათანადო მიღწევები მოეპოვება. შერჩეულია შესაფერი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები (ოვიანოვა (მე-69 სკ.), თაქთაქიშვილი (მე-55 სკ.), იაროშენკო (მე-69 სკ), ქუთათელაძე (მე-58 სკ), გორგოშიძე (მე-109 სკ.) და სხვა; უკეთ არის მოწყობილი ბიოლოგიური კაბინეტები. (მე-55, 69, საშ. სკოლები). სკოლები უზრუნველყოფილია ოფიციალური პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, ჩასაწერ-ჩასახატავი რვეულებით; ზოგ სკოლას მოეპოვება ცოცხალი კუთხე, თვალსაჩინო ტაბულები, კოლექციები, მიკროსკოპები ჰერბარიუმები და სხვ. (მე-55, 69, საშ. სკ.).

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სასწავლო მუშაობაში ვეგმიანობის დასანერგავად.

უმეტესი ნაწილი მასწავლებლებისა ადგენს სამუშაო გეგმებს, სადაც აღნიშნულია გაკვეთილის შინაარსი, მისი დროში განაწილება, მუშაობის მეთოდი, დიდაქტიკური მასალა, საჭირო ექსკურსიები დროისა და ადგილის მითითებით.

მასწავლებლები ოვიანოვა, იაროშენკო, ქუთათელაძე, თაქთაქიშვილი, გორგოშიძე, და სხვ. გაკვეთილის ორგანიზაციას, მეს მაღალხარისხოვნად ჩატარებას, გაკვეთილის თითოეული წუთის რაციონალურად გამოყენების საქმეს, ჯეროვანი ყურადღებით ეპყრობიან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ საგნის კარგად დაუფლებას.

მასწავლებელთა უმრავლესობა დაინტერესებულია თავისი კვალიფიკაციის ამაღლებით (ქუთათელაძე, ლეკვაკა, ცინცაძე, იაროშენკო, ლებანიძე, მახარაძე, გორგოშიძე და სხვ.), რაც იმაში გამოიხატება, რომ მონაწილეობენ სხვადასხვა თათბირების მუშაობაში, ესწრებიან ღია გაკვეთილებს, უზიარებენ ერთიმეორეს თავიანთ გამოცდილებას, იწერენ სპეციალური ხასიათის ჟურნალ-გაზეთებს ქართულ და რუსულ ენაზე.

დაუსწრებელ პედინსტიტუტში არიან ჩარიცხულნი და წარმატებით მეცადინეობენ მასწ. ქუთათელაძე, გორგოშიძე, ქართველიშვილი, იაროშენკო და სხვ.

ბევრ მასწავლებელს დიდი მუშაობა ჩაუტარებია შეგნებული დისციპლინის დამყარებისათვის: ბავშვები წესიერად სხედან გაკვეთილის დროს, კულმოდგინეთ უსმენენ გაკვეთილს, არა აქვს ადგილი კარნახს, ჩურჩულს, უთავბოლო წამოძახილებს, იძლევიან მოფიქრებულსა და სრულს პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებს სუფთად აქვთ დაცული სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები, და საკლასო ოთახი; სათანადოდ არიან დაუფლებულნი ჰიგიენურ ჩვევებს, ფიქიზად ეპყრობიან მერხებს, აცვიათ სუფთად და სუფთა აქვთ ხელები, კბილება, თავპირი და სხვ. (მე-55, 109, 24, 69 საშ. სკოლების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა). აღნიშნული სკოლების უმრავლესობაში საპროგრამო მასალის გავლის მხრივ ადგილი არა აქვს ჩამორჩენას, შეფასების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. გადაცემული მასალის ფიქსირება სხვა საშუალებებთან ერთად წარმოებს სპეციალურ რვეულებში ჩაწერა-ჩახატვით, უფროს კლასებში უშუალოდ მოსწავლეების მიერ, ხოლო დაბალ კლასებში კი მასწავლებლის დახმარებით. სპეციალურ რვეულებს დაბალ კლასებში მუდმივ მეთვალყურეობას უწევენ მასწავლებლები (ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მე-55 საშ. სკოლის მე-3, 4, 5, 6, 7, 8, კლასები და 109 სკოლის მე-6, 8, და 9 კლ.) მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სავსებით გარკვეულ და გასაგებ კითხვებს იძლევა, რის გამო მოსწავლეებიც მოფიქრებულსა და ამომწურავ პასუხს იძლევიან (მასწ. ქუთათელაძე, თაქთაქიშვილი, ლეკავა, ცინცაძე, იაროშენკო, ცოვიანოვა, გორგოშიძე და სხვ.).

მასწავლებელთა უმრავლესობის მთელი ყურადღება იქითკენაა მიმართული, რომ მოსწავლეებს მიერ გაგებულ იქნეს ბუნების მოვლენათა კანონზომიერებანი, მათი მატერიალურობა, მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირი, ადამიანის ზეგავლენა ბუნების ძალებზე და მათი წარმართვა ადამიანის სურვილისამებრ (მასწ. ქუთათელაძე, ლეკავა, თაქთაქიშვილი, ცინცაძე, გორგოშიძე, იაროშენკო, ცოვიანოვა და სხვ.).

გეგმიანი მუშაობა

მასწავლებლებს ყველა გამორკვეულ სკოლაში (მე-109, 24, 69, 55) სამუშაო გეგმები აქვთ, მაგრამ მოცულობის, თემების დაზუსტების და მათი დროში განაწილების მხრით ზოგიერთი გეგმა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს:შედგენილია პირველი მეოთხედისათვის და არა მთელი წლისათვის საშ. სკოლებში და ნახევარი წლისათვის დაწყ. სკოლებში. თემები არ არის დაზუსტებული ოფიციალური პროგრამების თანახმად და თემისათვის განკუთვნილი დრო, ზოგ შემთხვევაში (55 საშ. სკ.), არ ეფარდება სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ საათების რაოდენობას.

მასწავლებლთა გაკვეთილის გეგმებს ზოგჯერ ზერელობა ახასიათებს, ვინაიდან იქ მხოლოდ გასაველი მასალაა აღნიშნული, ხოლო სწავლების მეთოდი, გაკვეთილის პროცესში გამოსაყენებელი დიდაქტიკური მასალა და ამათუიმ თემასთან დაკავშირებით სავალდებულო ექსკურსია უყურადღებოდაა დატოვებული.

სწავლების პირობები ბუნებისმეტყველებაში

სწავლების პირობები ბუნებისმეტყველებაში აღნიშნულ (24, 109, 69, 55 საშ. სკ.) სკოლებში შეიძლება ვსთქვათ, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, მცირეოდენ გამონაკლისს შეადგენს მე-55 სკოლა, სადაც არის ბიოლოგიის კაბინეტი, მაგრამ იგი გამოკვლევის პერიოდში, წესრიგში არ იყო მოყვანილი. დანარჩენ სკოლებში ბიოლოგიის კაბინეტი ან სულ არ არის (69 საშ. სკ., 109 საშ. სკ.) ანდა თუ არის, არის ჩანასახის სახით და შეხვნულია ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტში (24, და 69 საშ. სკოლ.). ამ სკოლებს არც ცოცხალი კუთხეები და სასკოლო მაწის ნაკვეთები გააჩნიათ, მათი უქონლობა და თვალსაჩინო დამხმარე ხელსაწყოების ნაკლოვანება უარყოფით გავლენას ახდენენ ბუნების მეტყველების სწავლებაზე, რადგან მთელი რიგი აუცილებელი ცდებისა და დაკვირვებათა ჩატარება მოუხერხებელი ხდება.

არა აქვთ ბუნებრივი და თვითგანაკეთის ჩამოსარიგებელი მასალა: მცენარეები და ცხოველები ცოცხალი და კონსერვირებული სახით, (გამონაკლისს შეადგენს მე-55 სკოლა, სადაც მცირე რაოდენობით მოიპოვება თვითგანაკეთი ხელსაწყოები ანატომიასა და ენტომოლოგიაში, მასწავლებელი ლეკავა).

არსებული ხელსაწყოების მოვლის საქმე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. ზოგი ხელსაწყო სულ არ არის ნახმარი, შენახულია ყარადაში იმ დროს, როდესაც ისინი უკვე გამოყენებულ უნდა ყოფილიყო წინა გაკვეთილებზე (მცენარეებისა და ცხოველების ტაბულები მე-55 საშ. სკოლაში), ხელსაწყოები არ არის დანომრილი, წესრიგზე დალაგებული და გატარებული წიგნში. შესაფერი წესით. საერთოდ ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობილობასა და თვალსაჩინო ხელსაწყოებს გულშემატკივრობა და მზრუველობის თვალი აკლია, როგორც მათი მაქსიმალურად გამოყენების, ისე მათი მოვლა-შენახვის მხრივ. დანაშაული უნდა მიეწეროს სკოლის ხელმძღვანელებს და, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მეტად ბიოლოგიის მასწავლებლებს, რომლებიც უნდა იბრძოდნენ თვალსაჩინო ხელსაწყოებით უზრუველყოფისათვის.

სკოლის ხელმძღვანელებს და ბიოლოგიის მასწავლებლებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ თვალსაჩინო და დამხმარე ხელსაწყოების უხეიროდ შენახვა აწვევს მათ მალე გაფუჭებას, რაც დიდ ზარალს აყენებს სკოლას და საგრძნობლად აფერხებს სასწავლო მუშაობას.

ბუნებისმეტყველების სწავლების მდგომარეობა.

გამოკვლეულ (მე-109, 55, 24 და 69) სკოლებში გვხვდება ბუნებისმეტყველების სწავლების, შედარებით, კარგი ნიშუშები, ამის მაგალითს გვაძლევს. მასწ. ცოვიანოვა (69 საშ. რუს. სკ.), იაროშენკო (69 სკ.) ქუთათელაძე და მასწ. თაქთაქეშვილი (55 საშ. სკ.) და მასწ. გორგაშიძე (მე-109 საშ. სკ). მასწ. ცოვიანოვას (69 საშ. სკ. III კლ.) კითხვები კონკრეტი შინაარსისაა და ამასთან ლიტერატურულად გამართული. მოსწავლეებს ეძლევა მოფიქრების საშუალება, მოსწავლეთა მცდარ პასუხს აუღელვებლად ხვდება, მასწავლებელი მათ გაუსწორებელს არ სტოვებს, კლასიც თანაბრად და დაკვირვებულად მუშაობს. იქ, სადაც მასწავლებელს უხდება მასალის მოყოლა, ცდილობს მოსწავლეებისთვის თხრობა საინტერესო და სახალისო გახადოს.

საკმაოდ ცოცხლად გადასცა მასწავლებელმა შუშის დამზადება და შუშის ქარხნის მუშობა, ისე, რომ მოსწავლეებმა გაიცადეს ის ატმოსფერო, რომელიც აქვნია ქარხანაში მუშობის დროს. ამას უადილებდა შუშის ქარხნის სურათი, რომელიც დაფაზე ჰქონდა გაკრული ყველასათვის თვალსაჩინოდ. მასწავლებელს არ გამორჩენია ადგილობრივი ქარხანაც. მოსწავლეებმა გადმოგვცეს თავიანთ შთაბეჭდილება და დაკვირვებები ბორჯომის შუშის ქარხნის შესახებ.

მასწავლებელმა მოფიქრებულად და მოხდენილად ჩააქსოვა გაკვეთილში თანამედროვეობის საკითხები და ზოგიერთი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მომენტი. სურათზე მოცემული იყო ბავშვის მონაწილეობა შუშის ქარხნის მძიმე მუშაობაში. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ეს მეფური წყობილების დროინდელი ამბავია, რომ ბავშვებს უხდებოდათ ისეთი მძიმე სამუშაოების შესრულება, როგორიც არის გახურებული შუშის ჭურჭლის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე. აქედან მასწავლებელი გადავიდა იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოში ბავშვებისათვის ასეთი მძიმე პირობები უცნობია, მათ ეკალათ სწავლა, რასთვისაც ყველა პირობა აქვთ შექმნილი, ამიტომ არაფრით არ შეიძლება გამართლებული იყოს ზარმაცობა.

მასწავლებელმა იაროშენკომ VII კლ-ში (69 საშ. სკ.) დიდი ოსტატობით აუხსნა მოსწავლეებს სხვადასხვა მწერის პირის აპარატი სათანადო პლაკატებზე ჩვენებით და, რაც მნიშვნელოვანია, მოხდენილად დაუკავშირა მწერების ყოფა-ცხოვრების საკითხი მათ მრავალფორმიანობას. აქ მოსწავლეებისათვის ნათელი გახდა ცხოველთა ევოლუციის ფაქტები სახელდობრ, ის, თუ როგორ იცვლება და რთულდება ესა თუ ის ორგანო, საარსებო პირობების ზეგავლენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა ასევე ამომწურავად განიხილა სხვადასხვა მწერის (ჩოქელას, ბოსტანას და ფუტკრის) კიდურება და განხილვა დაუკავშირა მათი მოძრაობის სხვადასხვაგვარობის საკითხს.

ამავე მასწავლებელმა VI კლ-ში გაკვეთილი ბოტანიკაში ცოცხლად და საქმიანი მუშაობის პირობებში ჩაატარა. გაკვეთილზე დრო რაციონალურად იყო განაწილებული. სხვადასხვა მომენტებს შორის (დაფაზე ყვავილის დიაგრამის დახატვა, რვეულებში გადახატვა, თხრობა, კითხვების დასმა და სხვ.). ვარდოსანთა და პარკოსანთა ოჯახების შედარების მომენტი ეფექტიანად იყო ჩატარებული. კარგად იყო აგრეთვე შედარებული პარკისა და ჯოტის მსგავსება და განსხვავება. მოხდენილად შეიტანა მასწავლებელმა გაკვეთილის მსვლელობაში ცნობები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის და მისი სამეურნეო კულტურული მნიშვნელობის შესახებ. მოსწავლეები ამას განსაკუთრებული ინტერესით და ყურადღებით უსმენდნენ.

მასწ. ქ. ქუთათელაძეს (მე-55 საშ სკ. III კლ.) კლასში საუცხოო დისციპლინა აქვს დამყარებული. ბავშვები ხალისს და აქტიობას იჩენენ, საგნით დაინტერესებულნი არიან, მოფიქრებულ და დალაგებულ პასუხს იძლევიან, გავლილი მასალა კარგად აქვთ შეთვისებული. მასწავლებელმა ახალი მასალის (ქვიშის) ახსნისას თვალსაჩინობა ფართოდ გამოიყენა: ცდების ოსტატური დემონსტრირებით და მოხდენილი კითხვა-პასუხით მასწავლებელმა გაკვეთილი საინტერესო გახადა მოსწავლეებისათვის. ჩატარებული გაკვეთილი პედაგოგიურად და მეთოდურად სავსებით გამართლებული იყო. მოსწავლეებმა ნათელი წარმოდგენა მიიღეს ქვიშის თვისებებზე, მის გამოყენებასა და დინამირობაზე.

მასწავლებელი გორგოშიძის გაკვეთილი (109 საშ. სკ. VII კლ.) ყოველმხრივ გამართული იყო. თხრობის დროს არავითარი თეორიული შეცდომა არ დაუშვია, ფუტკრის აგებულებისა და ბიოლოგიის შესახებ ბავშვები ცოცხლად მუშაობდნენ. გადაცემული მასალა კარგად იქნა შეთვისებული.

მასწ. თაქთაქიშვილმა (მე-55 საშ სკ.) V და IV კლასებში გაკვეთილი სათანადო პედაგოგიური ოსტატობით ჩაატარა. მასწავლებლის ცოცხალ თხრობას თან ახლდა ფართოდ გაშლილი თვალსაჩინოება (თემა იყო „თესლი აღმოცენების პირობებში“). გავლილი მასალა მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული. ისინი ერკვევიან თესლის შემადგენლობაში, იციან თესლის შემადგენელი ნაწილების თვისება და მნიშვნელობა. თესლის გაღვივებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოვლენას ხსნიან მატერიალისტური თვალსაზრისით. მათი შემეცნებიდან აღმოფხვრილია თესლის გაღვივებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა. გაკვეთილი ჩატარდა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის პირობებში. მოსწავლეები საგნისადმი ხალისსა და სიყვარულს იჩენენ. სხვადასხვა სტადიებში აღმოცენებულმა ლობიოს ლვების განხილვამ, მოსწავლეთათვის ცხადყო გარემოს პირობების გავლენა მცენარის თესლთა გაღვივებაზე, მოსწავლეები სათანადოდ არიან დაუფლებული მცენარეთა ქოთნებში აღმოცენების ტექნიკას და მათზე დაკვირვების წარმოებას სათანადო დასკვნების გამოყვანით.

კარგი იყო მასწავლებლის თხრობა კულტურულ მცენარეების მოვლა-მოშენების და გამოყენების შესახებ.

ამ მიღწევებთან ერთად ზოგ სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლებაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

მაგალითად, I და II კლ. ბუნებისმეტყველების საპროგრამო მასალა დაკავშირებული უნდა იყოს კითხვისა და მეტყველების განვითარებასთან, მაგრამ I და II კლასის მასწავლებელთა სამუშაო გეგმებში ბუნებისმეტყველების შესახებ არაფერი ნახსენები (55 საშ. სკ. II სკ. მამფორია) ან მინიმუმი ბუნებისმეტყველების საპროგრამო მასალისა, რომელიც განსახკომის პრო-

ამაშია გათვალისწინებული აღნიშნულ ლასებისათვის (რეალური დაკვირვების არმოება ბუნების სეზონურ მოვლენებზე ინდოდისა და ბუნების კალენდარი), მოსწავლეების მიერ კონკრეტული წარმოდგენის ღება ადგილობრივად გავრცელებულ მცენარეების შეუცდომლად გამოცნობა ბავშვების მიერ მათი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, მცენარეებისა და ცხოველების ძირითადი ნაწილების (ორგანოების) ახელწოდების ცოდნა; ცოდნა იმისა, თუ ად ცხოვრობს, რით იკვებება და როგორ ოულობს საზრდოს ესათუის ცხოველი, ოგორ იცავს თავს მტრისაგან; წარმოდენა ზოგიერთ ცხოველისა და მცენარის ანვითარებაზე (მაგ. ბაყაყის, ბარლის, პეელის განვითარების სტადიებზე და ა. შ.), ოდნა იმისა, თუ რა სარგებლობა ან ზარალი მოაქვს ამათუიმ ცხოველს ან მცენარეს; ოგორ უნდა მოუარონ სასარგებლოსა და ოგორ უნდა ებრძოლონ მავნეს, (ბუნების ეზონურ ცვლილებებთან დაკავშირებით საელდებულო ოთხი ექსკურსია და სხვა). აი, ე საკითხების შესწავლა პირველ მეორე ლასებში არ სწარმოებს დაწყებითს, ასრ. შ. და საშუალო სკოლების სამუშაო გეგებით. უმეტეს შემთხვევაში არ არის დაუსტებული თემები და მათთვის განკუთვნილი საათები (მაგ. 55 საშ. სკ. მე-3 კლ. ასწ. ქუთათელაძის პირველ მეოთხედისათვის შედგენილ სამუშაო გეგმაში არ არის ითვალისწინებული სავალდებულო ექსურსიების მინიმუმი და არც თემებია შეარდებული მასალის გავლისათვის განკუთვნილ დროსთან ასე, რომ აღებული ტემპით ასალის გავლა მოუხერხებელი ხდება). ზოგერ სამუშაო გეგმა შედგენილია ზეელად. მაგ. მე-55 სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელ ლეკავას წლიურ საუშაო გეგმაში (მე-6, 7, 8, 9 და 10 კლ.) აშვებულია მთელი რიგი შეცდომები თეების დაზუსტებისა და განკუთვნილ საეების განაწილებაში. მაგ. მე-6 კლასის როგრამაში შეტანილია,—„ყვავილოვან მცენარეთა ოჯახები 18 ს.“, რაც არ არის ზუსტი გამოთქმა, უნდა იყოს აღნიშნული, სანელდობრ რომელი ოჯახების წარმომადგენლები, მე-7 კლ. გეგმაში არ არის განსაზღვრული ზუსტად, თუ რა უნდა იქნას შესწავლილი. არის მხოლოდ ზოგადი მითითება: „ფეხსახსრიანთა ტიპი“, „ქვეწარმავალთა კლასი“ და ა. შ. ამავე კლასში სამუშაო საათები აღებული მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით, მე-8 კლ. გეგმაში ზედმეტი საათებია აღებული, ადგილი აქვს თემების გამეორებასაც (სისხლის მიმოქცევის სისტემა, სისხლის მიმოქცევა), უნდა იყოს ნერვული სისტემა და არა **ნერვიული;**

მე-9 კლასის გეგმაში აღგილი აქვს თემების, როგორც გამოტოვებას, ისე ზედმეტის შეტანას: მაგ. ოფიციალური პროგრამის მიხედვით გამოტოვებულია შემდეგი თემები: 1) ძირითადი მეთოდები ორგანულ სამყაროს შესწავლისა დარვინის მოძღვრების საფუძველზე; 2) ცვალებადობის და მემკვიდრეობის მოძღვრების განვითარება დარვინიზმით გაშუქებული და 3) ადამიანის გვაროვნობითი შტო, ხოლო ზედმეტად შეტანილია ან ორ-ორჯერ არის განმეორებული: 1) დარვინის მოძღვრების ძირითადი დებულებანი; 2) დარვინიზმის განვითარება და ბრძოლა დარვინიზმისათვის, 3) ორგანული სამყაროს ევოლუცია.

ამავე სკოლაში ძალზე ზერელედ და დაუკვირვებლად არის შედგენილი მე-10 კლ. გეგმა (მასწ. ლეკავა). მთელი მასალის გასავლელად ნაცვლად 39 საათისა, აღებულია 26 საათი, ასე, რომ გეგმის მიხედვით, 13 საათი რჩება გამოუყენებლად. სამუშაო გეგმებში, თითქმის ყველა სკოლაში, გამოტოვებულია სავალდებულო ლაბორატორიული მეცადინეობა და ცდების დემონსტრაცია.

მე-5 კლ. სამუშაო გეგმებში (მე-55 სკ. მასწ. ამხ. თაქთაქიშვილი) დამუშავებულია მხოლოდ პირველი მეოთხედის მასალა, უნდა იყოს კი მთელი წლის. თემები არ არის დაზუსტებული, მაგ., უნდა იყოს „ყვავილოვანი ზოგადი გაცნობა“, არის „ზოგადი მცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ყვავილოვან მცენარეებზე“.. „ცწება მცენარეული უჯრედის შესახებ“, არის **„ცწება მცენარის უჯრედის შესახებ“.**

უნდა იყოს—„თესლი, მისი აღმოცენება და თესლის მომზადება აღმოცენებისათვის“ არის—„თესლი, მისი აღმოცენება და თესვა“.

მე-55 სკოლის მე-7 კლ. პროგრამაში თემები არ არის განლაგებული თანმიმდევრობით; ზოგი მეცნიერული თერმინი დამახინჯებული, მაგ., „ასოსახსრიანები“, ნაცვლად „ფეხსახსრიანებისა“, გამოტოვებულია შესწავლილი ობიექტები, როგორიც არის მაგალითად „ობობა“, „მრავალფეხა და სხვა. მწერების კლასის შემდეგ უნდა იყოს ჩასმული ბრჩხილებში“—„სასარგებლო და მავნე მწერების წარმომადგენლები“.

გაკვეთილის გეგმები მე-55 სკოლ. მასწ. ლეჟავას, თამთაქიშვილის, ქართველიშვილის, ქაცარავას (მე-109 სკ.) და ქუთათელაძის ფორმალური ხასიათის მატარებელი არიან. გეგმებში მხოლოდ მასალაზეა ლაპარაკი, უკეთეს შემთხვევაში ზოგს (ქუთათელაძე, თაქთაქიშვილი) გადასაცემი მასალა კითხვებადაა აქვს დანაწილებული. არ არის მითითებული იმაზე, თუ როგორი მეთოდი და რა დიდაქტიკური მასალა იქნება გამოყენებული ამათუიმ გაკვეთილზე.

მასწავლებელთა დღიურებში მასალის დოზირების საკითხი არ არის მოგვარებული. ამ მხრივ ძალზე არასასურველი შედეგი მოგვცა ამჰ. ქართველიშვილის გაკვეთილმა (55 სკ. მე-5 კლასებში). გადასაცემი მასალა რამოდენიმე წუთში ამოიწურა და შემდეგ დროის მოსაკლავად, მასწავლებელმა მოსწავლეებს სახელმძღვანელოში დაიწყებინა გაკვეთილის კითხვა.

მასწ. ცინცაძემ მე-7 კლასში (24 საშ. სკ.) ახალი გაკვეთილის ახსნას მოანდომა მხოლოდ 10 წუთი (კალია და მახრა), მასწ. ლებანიძემ (24 სკ.) მე-5 კლ. მასალის ახსნას თესლის აღმოცენებაზე 12 წ. მოანდომა.

არის შემთხვევები, როცა მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს — მასწავლებელი ყურს ავლებს და არ ასწორებს.

მაგ. მე-7 კლ. (მე-55 სკ.) დაშვებული შემდეგი შეცდომები (მასწ. ლეჟავა): „გულმკერდზე მწერებს აქვს ორი წყვილი ფეხი“, ნამდვილად კი აქვს სამი, გულმკერდი შედგება სეგმენტისაგან“, თავი შესდგება სამი სეგმენტისაგან“, ნამდვილად კი შესდგება 6 სეგმენტისაგან“, „მალპიგის მილებში თავსდება გადამუშავებული უვარგისი ნივთიერება“, მასში თავსდება მხოლოდ შარდი.

მე-9 კლ. (მასწ. იგივე ლეჟავა) სწავლება შინაგანი შეგნების შესახებ უნდა ითქვას „შინაგანი მისწრაფება“, „შინაგანი მისწრაფება პროგრესისაკენ“, უნდა ეთქვა პროგრესიისაკენ, „გრადიაცია“ უნდა ეთქვა „გრადაცია“. „შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დარვინი ევოლუციის მოძღვრების მამამთავარია“, მე-6 კლ. (მასწ. იგივე) „მწერება, რომ კარგად დაჯდეს, პარკოსანთა ყვავილი კარგად არის მოწყობილი“ (ვიტალისტური გადახრა). III კლ. (69 საშ. სკ.) მასწ. ცოვიანოვა — „როდესაც თიხა მოიკლავს წყლის წყურვილს, იგი წყალს აღარ ატარებს“.

მე-4 კლ. (მასწ. ქართველიშვილი, მე-55 სკ.) — „ორლებნიან თესლში საკვები მასალა მოთავსებულია ჯიპში“.

„ნერვი — ეს ნერვული უჯრედია“, „ყეყლი კუნთია“ (109 საშ. სკ., მასწ. მახარაძე), „ლებანი საკვებ მასალას აძლევს, მაგრამ ერთია“. „ერთლებნიან თესლში ეპიდე ეპიდერმისი არის“, უნდა ეთქვას „ენდოსპერმა“ არის (109 სკ. 5 კლ.) ჯიპი ლობიოს შუაზე აქვს, ხოლო სიმინდს ბოლოზე“ (109 საშ. სკ. მასწ. ქაცარავა.) მე-55 სკ. 5ª კლ. (მასწ. თამთაქიშვილი) „წყალში ნაცარი არ იხსნება“, „წყალ იორგანული ნივთიერებაა“, „თესლის გაღვივებისათვის საჭიროა სინათლე“,—„თესლში წყალი შედის ჭიპიდან“, „ორლებნიანი მცენარე შებრუნებულად ამოდის ნიადაგიდან“, „დისტეზი ნიადაგშიც მოიპოვება, „დუმფარა წყალმცენარეა“, „წყლის მცენარის ნაცვლად“.

ეს შეცდომები ყველა გაუსწორებელი დასტოვეს მასწავლებლებმა, რაც არ შეიძლება მასწავლებლის უცოდინარობას მივა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეროთ. ამ შეცდომების გაუსწორებლობა უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლის დაუკვირვებლობისა და უყურადღებობას მიეწერება, რაც დაუშვებელია.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებელი გაკვეთილის პროცესის დროს ყოველთვის არ მიმართავს თვალსაჩინოების გამოყენებას იქაც კი, სადაც ეს აუცილებელია, მაგ. მე-69 სკ. III კლასში (მასწ. ცოფიანოვა) გაკვეთილზე არ იყო გამოყენებული არამც თუ გავლილ მასალასთან დაკავშირებული დიდაკტიკური მასალა (სილა, ყვარცი), არამედ ახალ მასალას, ისიც ისეთ მნიშვნელოვანს, როგორიც არის „გრანიტი", არ ახლდა სადემონსტრაციოდ თვით ეს შესასწავლი ობიექტი. გრანიტის ნატეხის შეტანა კი ამ გაკვეთილზე აუცილებელი იყო.

მასწ. ლებანიძეს (მე-24 საშ. სკ.) მე-4 კლასში გაკვეთილის ახსნისას „მშრალი ადგილისა და წყლის მცენარეების" შესახებ, არ ჰქონდა თვალჩინობის გაშლის მიზნით ცოცხალი ობიექტები კაკტუსი, დუმფარა და ოშმშია, რომელთა შეძენა სიძნელს არ წარმოადგენს.

იმავე მასწ. ლებანიძემ მე-5 კლასში თვალსაჩინოება სათანადო ოსტატობით ვერ გამოიყენა (თესლები ჰქონდა აღმოცენებული ბოთლებში), როდესაც ისინი მნიშვნელოვანი და საგულისხმოა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმოცენებული არიან ჯამებზე ან სხვა ფართო ჭურჭლებში.

მასწ. ცინცაძის მიერ გამოყენებული თვალსაჩინოება (მე-24 საშ. სკ., მე-6 და მე-7 კლ.) ძალზე არადამაკმაყოფილებელი იყო. ის მასალა კი, რომელსაც ის არჩევდა მე-6 და მე-7 კლასებში (ორლენინან მცენარეთა ოჯახებში მე-6 კლ. და კალიასა და მახრას საშმლის მომნელებელი ორგანიზა და განსაკუთრებით პირის ნაწილება) უსათუოდ მოითხოვს თვალსაჩინების ფართოდ გაშლას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეები ვერ გაერკვევიან აღნიშნულ მასალაში.

მე-7 კლ. (მე-69, საშ. სკ., მასწ. იარონშენკო) მოსწავლემ საკმაოდ ტლანქი შეცდომა დაუშვა — მომნელებელი და კუნთოვანი კუჭი ერთმანეთში აურია, წინა, შუა და უკანა ნაწლავი გარკვეული არ ჰქონია და ამიტომ მოსწავლეებმა ისინი ერთი მეორეში აურიეს. მოსწავლის მოყოლაში თანმიმდევრობა არ ჩანდა. ამავე გაკვეთილზე, გაკვეთილის მოყოლის დროს (აბრეშუმის ჭიის შესახებ) მოსწავლეები დაბანდებული იყვნენ სხვა სამუშაოთი (თვალიერებდნენ პრეპარატს), ამავე გაკვეთილზე ადგილი ჰქონდა მოვიტალისტო ელფერის მქონე ფორმულირებებს, მაგ., როდესაც მასწავლებელი (იაროშენკო) ქოლგოსნების თანაყვავილს უხსნიდა მოსწავლეებს, მან აღნაშნა ამ მცენარის (ზალგი) ყვავილები პატარეებია, მაგრამ თითონ ბუნება დაეხმარა ამ მცენარეს და მისი ყვავილები თანაყვავილად შეჰკრაო.

არის შემთხვევა, როცა მასწავლებელი საპროგრამო მასალას ძლიერ ჩქარი ტემპით გადის და ამის გამო შეთვისების ხარისხი ნაკლებია, მაგ. მე-4 საშ. სკ. მასწავლებელი ამხ. ცინცაძე ორლენინან მცენარეთა ოჯახებს უკვე ამთავრებს (სხვა სკოლებში ჯერ კიდევ ვარდოსნებზე არიან).

არის შემთხვევები, როცა გაკვეთილის პროცესი უმთავრესად იმით განისაზღვრება, რომ მასწავლებელი ჯერ თვითონ კითხულობს სახელმძღვანელოში გაკვეთილს და შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს რამოდენიმეჯერ, რაც პედაგოგიური და მეთოდური თვალსაზრისით სავსებით გაუმართლებელია (მე24 საშ. სკ., მე-4 და მე-5 კლასში მასწ. ამხ. ლებანიძე).

არის აგრეთვე შემთხვევებიც, როცა მასწავლებელი მთელ აკადემიურ საათს მხოლოდ გამეორება - გამოკითხვას ანდომებს (მე-55 საშ. სკ. მე-8 კლ. მასწ. ლეკავა) და ახალი მასალის გადაცემაზე არ ფიქრობს. ყოველი გავლილი თემის გასამეორებლად ერთი საათის დათმობა ძლიერ უკან დაგვწევს წინსვლაში და წლის ბოლოს დიდ ჩამორჩენილობასთან გვექნება საქმე, რაც დაუშვებელია. ზოგ სკოლაში არ არის მოწესრიგებული კაბინეტით სარგებლობა; ბიოლოგიის მასწავლებელთა შორის ადგილი აქვს გაკვეთილების შეჯამებას (მე-55 საშ. სკ.).

ყველაზე უფრო ჩამორჩენილად ბიოლოგიის სწავლების დაყენების მხრივ უნდა ჩაითვალოს მე-109 საშ. სკოლა. აქ ბიოლოგიის სწავლებას სრულებით არ ექცევა ყურადღება სკოლის სათავეში მყოფ პირებისაგან (დირექტორი, სასწავლო ნაწ. გამგე), მასწავლებლები მატოვებული არიან, დახმარებას მათ არავინ არ უწევს. მასწავლებლებმა არ იციან, რომ არსებობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, სადაც შეუძლიათ საჭირო კონსულტაციის მიღება და გაკვეთილებისათვის ამათუიმ მასალის დამზადება.

დასკვნა

ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გამომკვლევ ბრიგადას მიზანშეწონილად მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა აწ. 25 დეკემბრამდე მოაწყონ რაიონის სკოლების დირექტორების და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა თათბირი. თათბირებზე მოხსენებებით გამოვადნენ დირექტორები და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები კაბინეტების კეთილმოწყობის და ბუნებისმეტყველების სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე თათბირებმა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ბუნებისმეტყველების სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნისა და პედაგოგიური პროცესის მაღალ დონეზე აყვანისათვის. თათბირების ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას განსახკომში არა უგვიანეს აწ. 20 ნოემბრისა.

2. ყველა სკოლისა და კერძოდ ქ. თბილისის მე-24, 69, 109 და 65 საშ. სკ. დირექტორებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები თავიანთ სკოლის საბუნებისმეტყველო კაბინეტების მოწყობა-შევსებისათვის, მათი წესრიგში მოყვანისათვის, მასწავლებლების მიერ ბიოლოგიის კაბინეტით სარგებლობის რეგულირებისათვის (სადაც ბიოლოგიის კაბინეტი სხვა კაბინეტებთან არის შეხიზნული და სადაც ერთი კაბინეტით სარგებლობენ ორ-ზე მეტი მასწავლებელნი) [illegible] დება რამოდენიმე მასწავლებელს მაგ., მე-24 და მე-55 საშ. სკ.).

3. გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული სკოლების დირექტორებისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მიერ ცოცხალი კუთხეებისა და სასკოლო მიწის ნაკვეთის მოწყობისათვის.

4. I და II კლასების მასწავლებლებმა დაიზუსტონ თავიანთი სამუშაო გეგმები პროგრამით გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო მასალების თანმიმდევრულად შესწავლის მიზნით.

5. დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა: ა) გააძლიერონ ზედამხედველობა ბუნებისმეტყველების სწავლებაზე, გულდასმით და სისტემატურად ადევნონ თვალყური პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შესრულებას, სისტემატურად დაესწრონ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს, რომელთა შესახებ შენიშვნები შეიტანონ სპეციალურ რვეულში;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევნ ოფიციალური პროგრამებით გათვალისწინებული ექსკურსიების, პრაქტიკული მუშაობისა და ცდების დემონსტრაციის მინიმუმის შესწორებას;

გ) სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა ზუსტად აღრიცხონ ბუნებისმეტყველების სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოები და დააწესონ ზედამხედველობა ხელსაწყოების წესიერად მოვლის საქმეზე;

დ) შეძენილი იქნეს უახლოეს დროში მეთოდური და მეცნიერული ლიტერატურა ბუნებისმეტყველებაში, რათა ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა შესძლონ გაკვეთილისათვის მზადება და თითოეული გაკვეთილის ნორმალურად ჩატარება.

6. ბუნებისმეტყველების თითოეული მასწავლებელი გულდასმით ემზადებოდეს გაკვეთილისათვის, სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გადასაცემი მასალის დაზუსტება, მისი დროში განაწილება, გადაცემული მასალის ფიქსირების ხერხებისა და საშუალე-

ბების დაზუსტება, დიდაქტიკური მასალის წარსახატავ-ჩასაწერი მომენტების და საშინაო დავალებების მონიშვნა-მოხაზვა, საბელმძღვნოს გარდა, სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოყენება და სხვ.

7. ყველა საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა ჩამოაყალიბოს ნორჩ-ნატურალისტთა წრეები.

8. III და IV კლასის საპროგრამო მასალა მასწავლებლების მიერ დამუშავებული უნდა იქნეს თვალსაჩინოების, ცდების, ადმინისტრაციების და ლაბორატორიული მუშაობის ფართოდ გამოყენებით, რათა მოსწავლეებისათვის მისაწვდომი და გასაგები გახდეს შესწავლილი ბუნების მოვლენების მატერიალურობა, მოვლენათა შორის ურთიერთზობრივი კავშირი, ადამიანის შრომის ბუნების ძალების დაქვემდებარებაზე.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზედა კლასებში (მე-5 და მე-8 კლ.) მცენარეული ცხოველური უჯრედის საფუძვლიანად შესწავლას თვალსაჩინოების (ტაბულები, ნახაზები, ლუპა, მიკროსკოპი, ცოცხალი ობიექტები — პომიდორი, ხახვი, ლიმონი, შინდარინი, ვალისწერია, ელოდეა, გოგრის ან ჭინჭრის ბუსუსი და სხვა) მაქსიმალურად გამოყენებით.

10. ყურადღება მიექცეს სპეციალურ რეგიონებში მნიშვნელოვანი მომენტების ჩახატვა-ჩაწერის წესიერად წარმოების მოსწავლეების მიერ და სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული მასწავლებლების მიერ მათი პერიოდულად შემოწმება.

11. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა ზუსტად და განუხრელად შეასრულონ ლაბორატორიული მეცადინეობისა და ცდების დემონსტრირების სავალდებულო მინიმუმი, რომელიც განსახილის პროგრამებშია გათვალისწინებული.

12. მცენარეების სისტემატიკის შესწავლისას მე-6 კლასში აუცილებლად იქნეს გამოყენებული სათანადო ცოცხალი ობიექტები, შესაფერისი ტაბულები, თვითნაკეთი, გადიდებული სურათები, საჰერბარიუმო ობიექტები და სხვ.

13. მე-109 საშ. სკ. დროებით მასწ. ამბ. ქაცარავა, რომელსაც ეჭირა აქვს შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება (არ იყო მომზადებული გაკვეთილისათვის, ისეთი საპროგრამო მასალა, როგორიც არის თესლი და მისი აღმოცენება, გადასცა ზეპირსიტყვიერად ყოველგვარ საჭირო თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე), მიემგზავნოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო კაბინეტს მუშაობის გამოსწორებისა და გარდაქმნის მიზნით.

14. მე-55 საშ. სკ. მასწ. ამხ. ქართველიშვილს უნდა მიეთითოს ამის შესახებ, რომ იგი გაკვეთილისათვის მომზადებული არ იყო. მან მომავალში უნდა აღკვეთოს გადაცემული მასალის სახელმძღვანელოში წაკითხვა და გაკვეთილის დიდი ნაწილის ამ მიზნისათვის გამოყენება.

15. მასწავლებლებმა დაიწესონ და სისტემატურად ჩაატარონ ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე გადაცემული მასალის შეთვისების შემოწმება.

16. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა სავალდებულოდ მიიჩნიონ ექსკურსიების მინიმუმის განსაზღვრულ ვადებში განუხრელად ჩატარება საპროგრამო მასალასთან შეფარდებულად.

17. განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრან მასწავლებლები იდეოლოგიურ საკითხებს ბუნებისმეტყველების სწავლებაში და კერძოდ სასტიკად ებრძოდნენ ვიტალისტურ ფორმულირებებს როგორც მათ თხრობაში, ისე მოსწავლეთა პასუხებში.

18. სკოლის დირექტორებმა გამოკვლევის შედეგები დაამუშაონ სკოლის პედსაბჭოსა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი კომისიის სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გამომკვლევი ბრიგადა:

1) არ. ჯაფარიძე
2) პ. მეტრეველი
3) ს. ბერეჟიანი
4) ჩხენკელი

მოხსენებითი ბარათი და ღონისძიებანი მათემატიკის სწავლების შესახებ ქ. თბილისის მე-42, მე-18 და მე-24 სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. არითმეტიკის სწავლების მდგომარეობა.

მე-42 სკოლა:

დაწყებითი სკოლის ზოგი მასწავლებლის ისჯელობა, რომ I კლასში პირველი ათეულის რიცხვებზე დაწერილებით შეჩერება საჭირო არ არისო, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად. ამ წელიწადს ბავშვებმა, მარილია, იციან პირდაპირი და შექცევითი თვლა, მაგრამ ეს არ კმარა. მათ უნდა გავაგებინოთ, რომ ესათვის რიცხვი არის ერთეულთა რაოდენობა, უნდა ვასწავლებინოთ, რომ მოცემული რიცხვი სხვადასხვა რიცხვების ჯამს წარმოადგენს, სხვანაირად, რომ ეთქვათ, ისინი უნდა გავარკვიოთ რიცხვის შედგენილობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ათეულის რიცხვები, I კლასში, ძირითადი მასალაა, მათ შესწავლაზეა დამყარებული სხვა რიცხვების შესწავლაც. ამის გამო კლასის მთელი შემადგენლობა, თვითეული მოსწავლე, საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ამ მასალაში.

მე-42 სკოლის I კლასში მასწავლებელ **ვოლკოვას** სერიოზული მუშაობა ჩატარებია. ამ მიმართულებით შესწავლილია რიცხვების შედგენილობა და მათი დაწერილობა 10-მდე. გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ გავლილი მასალა კლასს მტკიცედ აქვს შეთვისებული. მოსწავლეებმა საუკეთესოდ იციან, როგორც რიცხვების სახელწოდებანი, ასევე მათი შედგენილობაც, ნათლად ესმით, რომ მაგ.. 6-ის მისაღებად საჭიროა შევკრიბოდ 5 და 1;1 და 5; 4 და 2;3 და 3.

მასწავლებელი ვოლკოვა პროგრამული მასალის დამუშავებისას გადამჭრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვალსაჩინოების გამოყენებას. მას გაკვეთილზე თან აქვს საანგარიშე, სათვალავი, ჩხირები, მარცვლები, სურათები, თვალსაჩინო ცხრილები და ა. შ. ასევე, სწავლებისას ფართოდ აქვს გამოყენებული გრაფიკული მეთოდიც. მასწავლებელი ვოლკოვა გეგმიანად მუშაობს, ყოველ წუთს იყენებს რაციონალურად. აბამს მუშაობაში მთელ კლასს, დიდ ყურადღებას აქცევს ციფრების დაწერილობას. მოსწავლეთა რვეულები თავისი სისუფთავით და ციფრების მართებული მოხაზულობით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

არითმეტიკის გაკვეთილი I კლ. ძირითადად სწორად იქნა ჩატარებული: გამეორების შემდეგ მასწავლებელი გადავიდა 10-ის შესწავლაზე, ამასთან დაკავშირებით ამოცანა შეადგენია მოსწავლეებს, სურათიც მოიშველია, მაგრამ კლასს მაინც გაუჭირდა ამოცანის ათვისება. ამ საფეხურზე ამოცანის შედგენა საჭირო არ არის. არ არის აგრეთვე მისაღები სწავლების პირველ თვეში სიტყვა „ნულის" ხმარება.

მასწავლებელი მუდამ სთხოვს მოსწავლეებს სრულ პასუხებს, აგრეთვე ხშირად ამეორებინებს პასუხებს მოსწავლეებს გუნდურად, რაც აუცილებლად საჭიროა, რადგან ეს იძლევა საშუალებას ყველა მოსწავლე ღებულობდეს მუშაობაში მონაწილეობას.

III კლასის მასწავლებელმა **სელიანოვამ** გაკვეთილი დაიწყო საშინაო დავალების შემოწმებით, რაც კარგად ჩატარდა. მასწავლებელი არ დაკმაყოფილდა მარტო მოცემული პასუხებით, თითქმის ყველა ნამუშევარი გასინჯა ადგილზე, კარგად ჩაატარა აგრეთვე ზეპირი ანგარიში: გააცნო მოსწავლეებს, სამნიშნა რიცხვის ერთნიშანზე გაყოფის ზეპირი ხერხი — გასაყოფი რიცხვის ისეთი შესაკრებებად დაშლა, რომ თითოეული მთგანის გაყოფა მოცემულ გამყოფზე სიძნელეს არ წარმოადგენს. 265 : 5 შემდეგნაირად გაარჩია მასწავლებელმა: 250 : 5=50; 15 : 5=3; 50+3=:53.

ასევე გაირჩა რამდენიმე მაგალითი. როცა კლასი კარგად გაერკვა გაყოფის ამ ხერხში, მოსწავლეებს მიეცა ამოსახსნელად ანალოგიური მაგალითები. მასწავლებელი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მიღებული

შედეგის დასახელებით, ყოველთვის მოითხოვდა მოსწავლეთაგან ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მიიღეს ეს განაყოფი. ამ მუშაობისას მასწავლებელი ფართოდ იყენებდა თვალსაჩინოებას.

აღსანიშნავია, რომ ამ კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან გასული წლის საპროგრამო მასალა.

ამ დადებითი მხარეებთან ერთად გაკვეთილს ჰქონდა ნაკლიც: ამოცანა შედგენილი იყო არარეალურ რიცხვებზე. მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ვისარგებლოთ იმ ამოცანებითა და მაგალითებით, რომლებიც საახალმძღვანელოშია, მით უმეტეს, რომ ამოცანები კრებულში საკმაო რაოდენობით არის მოცემული. მასწავლებლის მიერ ამოცანის შედგენა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამათუიმ ტიპის ამოცანას არ ახლავს დუბლირებული ამოცანები.

მე-4 კლასის მასწავლებელმა **ცვეტოვამ** გაკვეთილზე მოსწავლეებს აუხსნა ნამრავლის ცვლადობა კომპონენტების ცვლადობასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ, მასწავლებლები ამ მასალას ამუშავებენ რიცხვთა მაგალითების გამოყენებით. მასწავლებელმა ცვეტოვამ სხვა გზა აირჩია. მან მართკუთხედის ფართობი გამოიყენა: აიღო ორი მართკუთხედი, რომელთაც სიმაღლეები ქონდათ ტოლი, ფუძეები კი სხვადასხვა, სახელდობრ, ერთის ფუძე 2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე მეორისა. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ გამოინგარიშება მართკუთხედის ფართობი. გამოიანგარიშეს ორივე მართკუთხედის ფართობი. მიღებული შედეგები ნათლად მეტყველებდნენ, რომ მამრავლის, ან სამრავლის რამდენჯერმე გადიდებით, ნამრავლიც დიდდება იმდენჯერვე. ასეთივე ნახაზები მოსწავლეებმა ჩაახაზეს თავიანთ რვეულებშიაც.

მუშაობის ეს მეთოდი სავსებით მისაღებია, მას დიდი გარკვეულობა შეაქვს მოსწავლეებში.

გაკვეთილის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საშინაო დავალებად მოსწავლეებს მიეცათ ნამრავლის შემცირება კომპონენტების შემცირებასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა ეს მასალა საკმაოდ რთულია და გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ არ ყოფილა დამუშავებული. დამოუკიდებლად მოსწავლეები ამ მასალაში გარკვევას ვერ შესძლებენ.

მე-24 სკოლა.

I კლასი. (მასწავლებელი **ხელაშვილი**). კლასს სრულებით არ გააჩნია დიდაქტიკური მასალება. დღემდე ბავშვებს ჩხირებიც კი არა აქვთ. კლასში არის მხოლოდ პლაკატი, რომელზედაც მხოლოდ რამდენიმე საგანია გამოსახული, ქვევით მიწერილია შესაფერი რიცხვები. ეს, რასაკვირველია, არ კმარა, სხვა თუ არა, სკოლას რუსული ან შვედური საანგარიშე მაინც უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება სათვალავ ჩხირებს, ამის დამზადება მოსწავლეებსაც ადვილად შეუძლიათ.

მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს წერის დროს სისუფთავის დაცვას, არადამაკმაყოფილებელია ციფრების დაწერილობაც.

III კლასი. (მასწავლებელი **ლობილაძე**). საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელმა **დაამშუავა სამკითხვიანი ამოცანა.** ამოცანის ამოხსნისას გამოქვეყნებული იქნა ნაწილობრივი ანალიზი, რაც მასალებია, რადგან სრული ანალიზის ჩატარება სასწავლო წლის დასაწყისს კლასს უდაოდ გაუჭირდება. ნაწილობრივ ანალიზი კარგია მით, რომ ის ნიადაგს უმზადებს ამოცანების ანალიზით ამოიხსნას. ანალიზი უჭირთ ბავშვებს, ამიტომ საჭიროა მას დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით მოვუმზადოთ ნიადაგი.

ამოცანა კარგად იქნა ამოხსნილი. გაკვეთილი ცოცხლად ჩატარდა. დაფაზე **დაიწერა** ამოცანის პირობა, **შემოკლებული სახით,** ამოცანის ტექსტი მოხდენილად იქნა შემოკლებული.

ნაკლად უნდა ჩაეთვალოს მასწავლებელს, რომ იგი ზოგჯერ კითხვებს გამართულად ვერ სვამდა, ასე, მაგ. — „რა მოქმედება უნდა ვაწარმოოთ ამოცანის ამოსახს-

ნელად“?. კითხვის ამგვარად დასმა დაუშვებელია, რადგან შეუძლებელია მოსწავლემ ერთბაშად დაასახელოს ყველა ის მოქმედება, რომელთა შესრულება მოგვიხდება ამოცანის ამოხსნისას.

IV კლასი. (მასწავლებელი **მ. იაშვილი**). გაკვეთილზე მთელი კლასი უნდა იქნეს ჩაბმული მუშაობაში, უამისოდ ვერც სასურველ შედეგს მივიღებთ და ვერც წესრიგს დავამყარებთ. კლასში მასწავლებელი ამ წესს არ იცავს, უმთავრესად ეკითხება და პასუხებს ღებულობს მხოლოდ იმ მოსწავლისაგან, რომელიც დაფასთან არის გამოძახებული, კლასი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

დაუშვებელია აგრეთვე დაფაზე მასწავლებელი დამოუკიდებლად აწარმოებდეს მოქმედებათა შესრულებას, აუცილებლად უნდა ვაბამდეთ მუშაობაში მოსწავლეებს.

ენობრივი შეცდომების უყურადღებოდ დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მოსწავლეები არ იცავენ ენის სისწორეს, მაგალითად: მიმატება (შეკრება), ვწერავთ (ვწერთ) და სხვა. მასწავლებელი კი არ უსწორებდა მოსწავლეებს ასეთს არასწორ გამოთქმებს.

ნულებით დაბოლოვებული რიცხვების გამრავლების განხილვისას არ იყო დაცული თანამიმდევრობა: ჯერ გაიჩჩა რთული მაგალითი: (7400.370) და შემდეგ კი მარტივი (1485.350).

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მასწავლებელს არ უწარმოებია საშინაო დავალების შემოწმება.

V კლასი. (**მასწ. რამიშვილი**). მათემატიკის მასწავლებელი უნდა იცავდეს მათემატიკურ სიზუსტეს და ტერმინოლოგიას, რასაც მასწ. რამიშვილი ხშირად არღვევს. მაგალითად, მან განმარტა: — „წილადი არ შეიცვლება თუ წილადის მრიცხველსა და მნიშვნელს გავადიდებთ ერთსა და იმავე რიცხვზე“, ეს დებულება უნდა გამოითქვას შემდეგი სახით — „წილადის სიდიდე არ შეიცვლება, თუ წილადის მრიცხველსა და მნიშვნელს გავამრავლებთ ერთსა და იმავე რიცხვზე“, ტერმინი „უწესო“ ახლა აღარ იხმარება, უნდა ვიხმაროთ „არა წესიერი“. ამ შეცდომებს ადგილი აქვს იმის გამო, რომ მასწ. რამიშვილი არ სარგებლობს მიღებული სახელმძღვანელოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუშვებელია კარნახით მოსწავლეების მიერ რვეულებში წესებისა და განსაზღვრების ჩაწერა. ამის შედეგად მოსწავლეებს არ ეძლევა საშუალება ისარგებლონ წიგნით, მიიღონ წიგნზე მუშაობის ჩვევა. ამას გარდა კარნახს ხმარდება საკმაოდ დიდი ნაწილი გაკვეთილისა და ხშირად ჩანაწერები შეიცავენ, როგორც მათემატიკურ, ისე ენობრივ შეცდომებს.

გაკვეთილზე მასწავლებელს უნდა აეხსნა წილადების შეკვეცა, მაგრამ ისე დასრულდა გაკვეთილი, რომ ეს საკითხი არ განხილულა.

მე-18 სკოლა.

III კლასი (მასწ. **მაჭარაძე**). დიდი ყურადღება ექცევა ზეპირი ანგარიშის კულტურას, რაც აუცილებლად მიზანშეწონილია. ზეპირი ანგარიშის ჩვევების დანერგვაში დაწყებითმა სკოლამ გადამჭრელი როლი უნდა ითამაშოს. ყოველ გაკვეთილზე რამდენიმე წუთი (5—6, ზოგჯერ მეტიც) აუცილებლად უნდა დათმოს ზეპირ ანგარიშს.

რვეულებში ჩანაწერები სუფთად არის შესრულებული, ჩანს მასწავლებელი ამ მიმართულებითაც კარგად მუშაობს. მასალის დამუშავებაში მთელი კლასი ღებულობს მონაწილეობას, მასწავლებლის მუშაობა ამ მხრივაც უნაკლოა.

გაკვეთილზე დამუშავდა რიცხვის მრგვალ ათეულებზე გამრავლება (15. 30). ეს—მასალა საკმაოდ რთულია ბავშვებისათვის და, ამიტომ იგი საფუძლიანად უნდა დამუშავდეს კლასში. ამის მიუხედავად, მასწავლებელმა მხოლოდ გამრავლების წესი განუმარტა კლასს მზამზარეულად, ახსნა-განმარტების გარეშე წესი არ უნდა მიეცეს მოსწავლეებს, წესის მიცემამდე უნდა ტარდებოდეს შესაფერი ვარჯიში. კერძოდ ამ შემთხვევაში, მასწავლებელს, უნდა აეხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებისათვის, რომ 15-ის გასამრავლებლად 30-ზე, საკმარისია 15-ჯერ ავიღოთ 3, და შემდეგ მიღებული ნამრავლი (45) კიდევ ავიღოთ 10-ჯერ. ამისათვის 30 უნდა დავშალოთ თანამამრავლად (3 და 10), მივიღებთ: 15. 3. 10. ამ ნამრავლის გამოანგარიშება მოსწავლეებისათვის უკვე ადარ წარმოადგენს სიძნელეს. მხოლოდ ამის შემდეგ ადარ გაუჭირდებათ მოსწავლეებს რიცხვის მრგვალ ათეულებზე გამრავლება და ამ გამრავლების წესის გაგება.

მიუღებელია გამოთქმა: „გავამრავლოთ ათეულების ციფრზე". ციფრი სიმბოლოა, მაზე გამრავლება არ შეიძლება.

IV კლასში, მასწავლებელმა **აბაშიძემ** აწარმოვა ამოცანის ამოხსნა შეკრება-გამოკლებაზე. ამოცანის ტექსტი დაიწერა შემოკლებულად, ტექსტის ჩაწერას მოჰყვა კატეხიზაცია, მაგრამ კატეხიზაციის შემდეგ მოსწავლეებს არ გაუმეორებიათ ამოცანის პირობა, რაც დაუშვებელია. თუ რამდენიმეა არა, ამოცანის პირობა, კატეხიზაციის შემდეგ, ერთმა მოსწავლემ მაინც უნდა გაიმეოროს.

დაფის ფართობი იმგვარად უნდა გამოვიყენოთ, რომ ყოველი შემდეგი კითხვის დაწერისა და შესაბამი მოქმედების შესრულების დროს არ გვიხდებოდეს წინა ნაწერის წაშლა. ამის შესაძლებლობას დაფის ზომა იძლეოდა, მაგრამ მასწავლებელმა მოხდენილად ვერ გამოიყენა დაფის არე, რაც ხელს მოკ მას უხდებოდა დაწერილი კითხვების წაშლა. ამით ირღვევა მუშაობის მოლიანობა.

საშინაო დავალება შემოწმდა, მაგრამ ამ შემოწმებას ნაწილობრივ ზერელე ხასიათი ჰქონდა. საჭიროა, განსაკუთრებით დწყებითი სკოლაში, ნამუშევრების უფრო საფუძვლიანი შემოწმება. უვარგისია გამოთქმა: „ორს ვწერ, 7-ს ვინახავ", უნდა ვიხმაროთ" 2 ვწერ და 7 ვიმახსოვრებ".

V კლასში, მასწ. **თ. გიორგობიანმა** გაკვეთილი დაიწყო წინა მასალის გამოკითხვით (ტოლ-მნიშვნელიანი და ტოლ-მრიცხველიანი წილადების შედარება), გამოკითხვა კარგად ჩატარდა, მაგალითებიც საკმაო რაოდენობით იქნა გარჩეული. კითხვებს მასწავლებელი გარკვეულად და მოხდენილად სვამდა, ამის გამო კლასიც მთლიანად კარგად პასუხობდა დასმული კითხვებზე.

ახალი მასალა (წილადის მნიშვნელისა და მრიცხველის გამრავლება ერთსა და იმავე რიცხვზე) კარგად იქნა გარჩეული, მაგრამ მასალა ერთობ პატარა მოცულობისა იყო, ამიტომ დარჩენილი დრო მასწავლებელმა დამატებით გამოიყენა გავლილი მასალის გამოსაკითხავად, რაზედაც დაიხარჯა დაახლოებით გაკვეთილის დროის 30 %. საჭიროა ახლადასახსნელი გაკვეთილის მასალა საკმაო რაოდენობით იქნეს წარმოდგენილი.

II. ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია.

მე-18 სკოლა

VII კლასი. ალგებრა, (მასწავლებელი **ვ. ამონაშვილი).**

გაკვეთილის მასალა — ალგებრულ გამოსახულებათა უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.

ჩატარდა დავალების შემოწმება. დავალებად მოსწავლეებს მიცემული ჰქონდათ მაგალითები ალგებრულ გამოსახულობათა უდიდესი საერთო გამყოფის პოვნაზე. მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლეს აკითხებდა მიცემულ მაგალითებს. საშინაო დავალების შემოწმება სწორად მიმდინარეობდა, მხოლოდ, საჭირო იყო მასწავლებელს ყველა მოსწავლის ნამუშევარი ცალკინჯ; ამასთანავე საჭიროა მოსწავლეთა საშინაო რვეულები, მეოთხედში, ერთხელ მაინც იქნეს სახლში საფუძვლიანად გასწორებული, რასაც მასწ. ამონაშვილი პრაქტიკულად არ ატარებს. არც ერთი მოსწავლის საშინაო რვეული არ არის გასწორებული მასწავლებლის მიერ.

ახალი მასალის დამუშავების შემდეგ ვარჯიში სათანადო მაგალითების ამოხსნაზე

დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ნაკლი გაკვეთილისა იმაში მდგომარეობდა, რომ მასწავლებელმა მთელ კლასს ვერ მიაღწინა მონაწილეობა გაკვეთილის დამუშავებაში, და აგრეთვე არ მოუხდენია მოსწავლეთა შეფასების აღნიშვნა. არანორმალურად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ მასწავლებელს გაკვეთილის გეგმა არ აღმოაჩინდა.

VII კლასი. ალგებრა (მასწ. **თ. გიორგობიანი**).

ახალი მასალა: ალგებრული წილადების შეკრება-გამოკლება (ვარჯიში მაგალითებზე). გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების შემოწმებით; კარგი იყო დავალების შემოწმების ტექნიკა: დავალებას კითხულობს ერთი მოსწავლე, დანარჩენი მოსწავლეები თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ რვეულებში; საშინაო დავალება შესრულებული ჰქონდა ყველა მოსწავლეს. მასწავლებელმა თითქმის ყველა ნამუშევარი განიხილა ადგილზე.

ალგებრული წილადების შეკრება-გამოკლების დროს მასწავლებელი ფართო ასპარეზს უთმობს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მთელი კლასი აქტიურ მონაწილეობას იღებს გაკვეთილის მასალის დამუშავებაში.

მოსწავლის დაფასთან მუშაობის ყველა მომენტს მასწავლებელი გულდასმით უნდა ადევნებდეს თვალყურს, უამისოდ შეიძლება გაიპაროს შეცდომები, აი, მაგალითად. მოსწავლე — 2a ამრავლებს $\frac{1}{2}$— 18ac და წერს $36a^2$-ს მასწავლებელი ამ შეცდომას მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როდესაც ხდება მსგავს წევრთა გაერთება. ამგვარი შეცდომის დროულად გამოუსწორებლობა მრავალ გაუგებრობას გამოიწვევს.

მათემატიკა უაღრესად ზუსტი მეცნიერებაა, ამიტომ მასწავლებელმა **მეტი ყურადღება** უნდა მიაქციოს **ცნებების ზუსტად** გამოთქმას, მაგ. a ხარისხად n—1, b ხარისხად m—n. უნდა გამოთქვას —a n—1 ხარისხში, —b m—n ხარისხში; ასევე უვარგისია გამოთქმა: „ამას პლუს, ამას მინუს“, უნდა ითქვას ამას მივუმატოთ“, „ამას გამოვაკლოთ“. არ არის საჭირო დაფაზე იწერებოდეს მარტივი გამოანგარიშებანი, როგორიც არის n—2+1, მათი გამოანგარიშება ზეპირი წესით უნდა ხდებოდეს.

გაკვეთილი მასალა ჟურნალში ყოველდღიურად იწერება, ეს კარგია, მაგრამ ასევე უნდა სწარმოებდეს შეფასებათა ჩაწერაც.

VIII კლასი. ალგებრა და გეომეტრია მასწ. **თ. ყაზახაშვილი**).

გაკვეთილის მასალა ალგებრაში — ამოფესვის ნიშნთა წესი, ხოლო გეომეტრიაში პროპორციული მონაკვეთებისა და ნაკვეთების მსგავსების ცნება.

ალგებრაში საშინაო დავალების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ წინა გაკვეთილზე დამუშავდა ფესვის განსაზღვრა.

მასწავლებელი კარგად უკავშირებს გაღლილ მასალას ახალს, მოხდენილად სვამს კითხვებს. ამის შემდეგ დასკვნების გამოტანა მოსწავლეების უშუალო მონაწილეობით სწარმოებს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მასწავლებელ ყაზახაშვილის მუშობა გეომეტრიის სწავლების საქმეში.

ჩვენს სკოლაში ხშირად, გეომეტრიის სწავლების დროს არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეებში ლოღიკური მსჯელობის უნარის განვითარებას; თეორემების დამტკიცება, ზოგჯერ სწარმოებს **მექანიკურად**, ამის გამო მოსწავლეები სუსტ ცოდნას იჩენენ გეომეტრიაში.

მასწ. ყაზახაშვილის მიერ, თითოეული მომენტი გაკვეთილისა: განვლილი მასალის გამოკითხვა, ახალი მასალის დამუშავება და ვარჯიში, — სრულყოფილად იქნა წარმოებული. მოსწავლეები შეგნებულად პასუხობდნენ მასწავლებლის მიერ სწორად და მოფიქრებულად დასმულ კითხვებზე. ყაზახაშვილი დახელოვნებული მასწავლებელია, ის სათანადოდ არის დაუფლებული, როგორც საგანს, აგრეთვე მისი სწავლების მეთოდებსაც, სისტემატურად მუშაობს გაკვეთილების საუკეთესოდ მომზადებისათვის და ამის შედეგად აღწევს კარგ წარმატებებს. მის მუშაობას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: იგი ზოგჯერ მათემატიკურ დებულებებს, წესებს და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთე ფორმულების ტექსტს მოსწავლეებს აწერინებს რვეულებში, ეს იწვევს სახელმძღვანელო წიგნის გაუპიროვნებას, ამით ფერხდება მოსწავლეებში წიგნზე დამოუკიდებელი ჩვეულების გამომუშავების საქმე. წესების და დებულებების ჩაწერა რვეულში საკმაო დიდ დროს ართმევს მოსწავლეებს, რის გამოც გაკვეთილზე მასალის გაღრმავებისა და ამოცანათა ამოხსნზე ვარჯიშობისათვის ნაკლები დრო რჩება.

IX კლასი — ალგებრა;

X კლასი— გეომეტრია—ტრიგონომეტრია მასწ. **ვ. აბდუშელიშვილი.**

ამხ. ვ. აბდუშელიშვილი საგნის კარგი მცოდნე და დახელოვნებული მასწავლებელია. მუშობს გეგმიანად, დიდი ხალისით და სიყვარულით, რითაც სათანადო გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. მოსწავლეებიც დიდ სიყვარულს და ინტერესს იჩენენ მათემატიკისადმი.

IX კლასში დამუშავდა ამოცანების ამოხსნა არითმეტიკულ პროგრესიაზე. კარგად იყო განმარტებული ამოცანათა პირობები, კლასი ამოცანის ამოხსნაში მთლიანად იღებდა მონაწილეობას, ყველანი აქტივობდნენ.

უკეთესი იქნებოდა, რომ მასწავლებელს სამი გარჩეული ამოცანადან, ერთერთი ამოცანის ამოხსნის ნიმუში ჩაეწერინებია მოსწავლეთათვის.

მეთოდურად გამართული იყო აგრეთვე გეომეტრიის და ტრიგონომეტრიის გაკვეთილი მე-10 კლასში, მაგრამ უნდა აღინიშნოს მასწ. აბდუშელიშვილის გაკვეთილების შესახებ, რომ გაკვეთილის პროცესში სწარმოებს სახელმძღვანელოში მოცემული მასალის ჩაწერინება, ერთგვარი შეცვლა სახელმძღვანელო წიგნისა, რაც მიზანშეწონილად არ ჩაითვლება.

მე-18 სკოლაში ჩამოყალიბებულია მათემატიკის საგნობრივი კომისია (თავმჯდომარე ვ. აბდუშელიშვილი), რომელსაც აქვს წლიური სამუშაო გეგმა, უკვე ჩატარებული აქვთ ორი სხდომა, რომელზედაც გარჩეულია წლიური და I მეოთხედის სამუშაო გეგმები და მათემატიკის სწავლების საკითხები, (ჩვეულებრივი წილადების დაყვანა მე-5 კლასში).

ყველა მასწავლებელს აქვს, როგორც წლიური, ისე I მეოთხედის სამუშაო გეგმები. გეგმით გათვალისწინებული პროგრამული მასალა ყველა კლასში დაძლეულია.

დირექცია სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს მათემატიკის მასწავლებელს, — გაკვეთილებზე დასწრებითა და სათანადო მითითებების მიცემით, მეთოდიური სახელმძღვანელოებით მომარაგებით და სხვა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკის სწავლება მე-18 სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას, რაც შედეგია იმისა, რომ ერთის მხრით სკოლაში მუშობენ დახელოვნებული მასწავლებლები: **ვ. აბდუშელიშვილი** და **თ. ყაზახაშვილი,** ახალგაზრდა ნიჭიერი მასწავლებლები **თ. გიორგობიანი** და **ვ. ამონაშვილი,** მეორეს მხრით კი მათემატიკის მასწავლებელთა კოლექტივი სისტემატურად მუშაობს პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გაკვეთილების საუკეთესოდ მომზადებაზე და სხვ.

მე-24 სკოლა.

VI² კლასი. ალგებრა. (მასწ. **რამიშვილი**). გაკვეთილის მასალა: ალგებრულ გამოსახულებათა რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშება.

მასწავლელი გაკვეთილის დასაწყისში ამოწმებს საშინაო დავალებას, რომელიც შეიცავდა ალგებრულ გამოსახულებათა გამოანგარიშებას. მოსწავლეებმა გამოიჩინეს ზეპირი ანგარიშის და წილადების სუსტი ცოდნა, მაგალითად, მოსწავლე ბ-ს, და სხვებსაც. გაუპირდა: 140+63; 15. 3; 9. 7;

$283 + 63; \frac{a}{2} + \frac{a}{2}$ გამოანგარიშება.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლელი ამ გაკვეთილისათვის არ იყო მომზადებული, ამის გამო ახალი მასალის ახსნა არ უწარმოებია, მთელი საათი მოანდომა ვარჯიშს ალგებრულ გამოსახულებათა გამოანგარიშებაზე. მასწავლელმა ამ გაკვეთილზე ვერ მოახერხა მთელი კლასის მუშაობაში ჩაბმა,

აწარმოებდა საუბარს მხოლოდ იმ მოსწავლესთან, რომელიც მას დაფასთან ჰყავდა გამოყვანილი, დანარჩენი მოსწავლენი კი ამ დროს უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული.

საკლასო რვეულების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები აწარმოებენ მასწავლებლის კარნახით განსაზღვრების და მათემატიკური წესების ჩაწერას სამუშაო რვეულებში, ჩაწერის დროს უშვებენ უხეშ შეცდომებს, მაგალითად, ერთ მოსწავლეს რვეულში „კოეფიციენტის“ მაგიერ ჩაწერილი ჰქონდა **„კონფერენცია“.**

VI (2) კლასი — გეომეტრია (მასწ. რამი. შვილი).

გაკვეთილის მასალა: „მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეების თვისება“. საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი შეუდგა ახალი მასალის დამუშავებას რაც არა სწორად ჩატარდა. იმის მაგიერ, რომ მასალის დამუშავებაში მთელი კლასი ჩაება და კითხვა-პასუხით გაერკვია მოსწავლეთათვის კუთხის სხვადასხვა სახეები, მასწავლებელმა თვითონ დაიწყო ახსნა, თვითონვე დახაზა დაფაზე მართი კუთხე, მახვილი კუთხე, ბლაგვი კუთხე, მნიშვნელოვნ და ვერტიკალური კუთხეები. დაამტკიცა თეორემები მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეების შესახებ. მოსწავლეები კი, მხოლოდ უსმენდნენ და არ იწერდნენ. ამის შემდეგ მასწავლებელმა დაფასთან გაიყვანა გასამორებლად ერთი მოსწავლე. ამ შემთხვევაშიაც მასწავლებელი მხოლოდ დაფასთან მდგომ მოსწავლეს ესაუბრებოდა. მასწავლებლის მიერ ახლად ახსნილი მასალის გამეორება მოსწავლეს გაუჭირდა, რადგან ახლად ახსნილი მასალა დიდი მოცულობისა იყო. ბოლოს მასწავლებელმა მიმართა კლასს — ეწარმოებიათ გადაწერა და მოსწავლეებმაც დაიწყეს დაფიდან ნახაზების და ფორმულების გადაწერა, მოსწავლეები წერდენ ფანქრით, რადგან კლასში სამელნეები არ იყო.

VIII კლასი. ალგებრა (მასწ. ი. ხარაბაძე).

გაკვეთილის მასალა: „რაციონალური მამრავლის რადიკალის ნიშნის გარეთ გამოტანა და მისი რადიკალის ნიშნის ქვეშ შეტანა“. გაკვეთილს ახასიათებდა შემდეგი ძირითადი ნაკლი:

1. მასწავლებელმა ვერ ჩაბა მუშაობაში მთელი კლასი, იგი აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, რომლენიც დაფასთან იყვნენ გაყვანილნი.

2. მოსწავლენი დაფაზე წერის დროს არ მსჯელობდნენ, დანარჩენი მოსწავლეები პირდაპირ იწერდნენ რვეულებში, მაშინ, როცა ჯერ საკითხი უნდა ირჩეოდეს კლასის მონაწილეობით და ამგვარი წესით დამუშავებული მასალა იწერებოდეს დაფაზე. მოსწავლე, რომელიც დაფაზე სწერს, უნდა მსჯელობდეს.

3. დაფაზე მასწავლებელი ერთსა და იმავე მოსწავლეს აძლევდა 2—3 მაგალითს ამოსახსნელად, საჭირო იყო მოსწავლეთა უფრო მეტი რიცხვი ყოფილიყო ჩაბმული მუშაობაში.

4. მასწავლებელი ძალიან ვრცლად აწერინებდა მოსწავლეებს წესებს, განსაზღვრებს, რასაც გაკვეთილის დროის დიდი ნაწილი მოუნდა.

VII კლასი. ალგებრა (მასწ. ი. ხარაბაძე).

ამ კლასშიაც იგივე მდგომარეობაა. მასწავლებელი მთელ კლასთან არ მუშაობს. დამატებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ნაკლი: მასწავლებელი იმავე მაგალითების დამუშავებას, რომლებიც საშინაო დავალებად სახლში ჰქონდათ მოსწავლეებს მიცემული, ხელმეორედ ამუშავებს კლასში, რაც არ არის საჭირო და ზედმეტი დროის დახარჯვაა; შინ დავალებად მიცემული ამოცანა, ან მაგალითი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს კლასში დამუშავებული, როდესაც მოსწავლეებს იგი შინ არ შეუსრულებიათ. ნორმალურ პირობებში ასეთი შემთხვევები არ გვექნება, რადგან შინ დავალების სახით მოსწავლეებს ისეთი ამოცანები და მაგალითები უნდა მივცეთ, რომელთა ათვისებას ისინი შეძლებენ.

VII კლასი. გეომეტრია (მასწ. ი. ხარაბაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის მასალა: „პარალელოგრამის დიაგონალების თვისება“. (ვარჯიში ამოცანებზე).

თეორემების დამტკიცების დროს არ იყო გამოყენებული ანალიზური ხერხი; თეორემას მოსწავლე მტკიცებდა მექანიკურად, რის შედეგად მოსწავლეები ნაკლებ ცოდნას იჩენენ გეომეტრიაში. საჭიროა თეორემების მტკიცების დროს, თითოეული მომენტი, სათანადოდ იყოს ახსნილი და დასაბუთებული.

დადებითად უნდა ჩაითვალოს, რომ თეორემების დამტკიცებასთან ერთად მასწავლებელი აწარმოებს გეომეტრიული ამოცანების ამოხსნას.

IX კლასი. ალგებრა (მას. **ვ. ბერაძე**), გაკვეთილის მასალა: „ამოცანების ამოხსნა არითმეტიკულ პროგრესიაზე“.

საშინაო დავალების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ კლასის უმეტეს ნაწილს მიცემული ამოცანა ვერ ამოეხსნა, ამიტომ მასწავლებელი იწყებს სახლში მიცემული ამოცანის ამოხსნას. მოსწავლეებს, შინ ამოსახსნელად შემდეგი ამოცანა ჰქონდათ მიცემული:

„მსროლელთა შეჯიბრში დანიშნულია შემდეგი ჯილდოები: უდიდესი 150 მანეთი, ხოლო ყოველი შემდეგი ერთსა და იმავე ფასით მცირდება და უკანასკნელი უდრის 30 მანეთს. რამდენი ჯილდოა დანიშნული, თუ ყველა ჯილდების ჯამი 630 მანეთია“?.

— n-ის საპოვნელად მასწავლებლის მითითებთან მოსწავლე წერს არითმეტიკული პროგრესიის წევრთა ჯამის ფორმულას:

$$\frac{[2a+d(n-1)]n}{2};$$

სვამს ამ ფორმულაში მოცემულ რიცხვებს და ღებულობს ორ უცნობიან მეორეხარისხის განტოლებას, შემდეგ სარგებლობს არითმეტიკული პროგრესიის უკანასკნელი წევრის ფორმულით და საბოლოოდ ღებულობს ისეთ სისტემას ორი განტოლებისას, რომელშიაც ერთი განტოლება მეორე ხარისხისაა, ხოლო მეორე პირველი ხარისხისაა. მართალია, მუშაობის პროცესში, იყო მოწაფე დაფასთან, მაგრამ იგი მექანიკურად სწერდა იმას, რასაც მასწავლებელი ეუბნებოდა, კლასი ამოცანის ამოხსნაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მოსწავლეები რვეულებში იწერდნენ მექანიკურად იმას, რაც დაფაზე იწერებოდა.

საქმის ასეთი გართულება საჭირო არ იყო, ამოცანა უნდა ამოხსნილიყო წევრთა ჯამის პირველი ფორმულით: $S=\frac{(a+4)n}{2}$

ამ ფორმულით ცნობილია სამი სიდიდე s, a და u ადვილად ამოიცნობთ მეოთხესაც (n).

ფაქტია, რომ გაკვეთილისათვის მასწავლებელი არ იყო მზად, თორემ ასეთი მარტივი ამოცანის ამოხსნისათვის იგი რთულ გზას არ აირჩევდა.

მასწავლებელი ბერაძე არ აქცევს ყურადღებას ცნებების სიზუსტეს. მაგ. განმარტება: „პროგრესიაში თანასწორად დაშორებული წევრების ჯამი უდრის კიდურა წევრთა ჯამს“, არაა ზუსტი, უნდა იყოს, „არითმეტიკულ პროგრესიაში ბოლოებიდან თანატოლად დაშორებული ყოველი ორი წევრის ჯამი უდრის კიდურა წევრების ჯამს“.

მოსწავლეთა რვეულებში შეცდომებითაა ამოცანები ამოხსნილი, მასწავლებლის მიერ კი გასწორებული არ არის.

X კლასი. ალგებრა (მასწ. **ბერაძე**). საშინაო დავალების შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მასწავლებელს წინა გაკვეთილზე დაუმუშავებია მეორე წევრით განსხვავებული ბინომების ნამრავლი; მოსწავლეებს არ ქონდათ კარგად შეთვისებული გაელილი მასალა, კარგად არ აქვთ შეთვისებული აგრეთვე შეერთების თეორია, ვერ მარტავენ, თუ როგორ შეერთებას ეწოდება წყობა, გადანაცვლება და ჯუფთება, მასწავლებელი კი უკვე გადასულა მეორე წევრებით განსხვავებულ ბინომების ნამრავლზე. ასეთი აჩქარება საჭირო არ იყო, რადგან X კლასის მოსწავლეთა სამეშო რვეულებიდან ჩანს, რომ შეერთების თეორიაზე ამოხსნილ ამოცანათა რიცხვი მცირეა. გაკვეთილის გეგმა ჩაიშალა, რადგან წინასწარ არ იყო შექმნილი სათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო პირობები ნიუტონის ბინომის ფორმულის ათვისებისათვის.

მასწ. ბერაძემ არსებითად უნდა გარდაქმნას მუშაობის მეთოდები, ფაროო ასპარეზი უნდა დაუთმოს მოწაფეების თვითმოქმედებას და დამოუკიდებელ მუშაობას, სისტემატურად უნდა ემზადებოდეს გაკვეთილისათვის, ყოველი გაკვეთილისათვის უნდა შეადგინოს დაწერილებითი გეგმა. თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამხ. ბერაძე მჭიდროდ უნდა დაუკავშიროდეს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტს.

მე-24 სკოლაში არც ერთ მასწავლებელს არ ჰქონდა შედგენილი წლიური სამუშაო გეგმა: ჰქონდათ, მხოლოდ I მეოთხედის სამუშაო გეგმები, რომლებსაც ესაჭიროება გადამუშავება. გეგმით გათვალისწინებული პროგრამული მასალა V კლასებში ჩამორჩენილია 30 საათით. საგნობრივი კომისია არსებობს, მას აქვს სამუშაო გეგმა. სკოლას მოეპოვება მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიური მასალა.

დასკვნა

მათემატიკის სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, გამომკვლევ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. მათემატიკის მასწავლებლები სისტემატურად უნდა ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის, ჰქონდეთ ზუსტად შედგენილი სამუშაო გეგმა, მოიმარაგონ დიდაქტიკური ხელსაწყოები, წინასწარ ამოხსნან და შეამოწმონ მაგალითები და ამოცანები.

2. სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათემატიკურ დებულებების, წესების, ფორმულების, გეომეტრიული თეორემებისა და სხვ. ზუსტი მათემატიკური თერმინებით გადმოცემას.

3. ყველა სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) გადამჭრელი ზომები მიიღონ არითმეტიკისა, ალგებრისა, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოების და მასალების შესაძენად (საანგარიშე, გეომეტრიული სხეულები—ხაზები, მოდელები, სახაზავები, ფარგლები და სხვ.).

4. ამოცანების და მაგალითებზე ვარჯიშობისათვის გათვალისწინებული საათები არ უნდა იქნეს გამოყენებული, კარნახის საშუალებით, მათემატიკური წესების, დებულებების, განსაზღვრებების და თეორემათა ფორმულირობების მოსწავლეთა რვეულებში ჩასაწერად, მათემატიკის მასწავლებლებს უნდა განემარტოთ, რომ ამგვარი მუშაობა მიმართული სტაბილური სახელმძღვანელო წიგნის შეცვლისაკენ და იწვევს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და ამასთანავე პროგრამებით გათვალისწინებული მასალის სრულად და ხარისხობრივად შესწავლის საქმის შეფერხებას.

5. მათემატიკის მასწავლებლებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალების შესრულების მიმართ. მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რვეულების გასწორება-შემოწმებას მასწავლებლები ხშირად უნდა აწარმოებდნენ.

6. საკონტროლო წერა უნდა ჩატარდეს ყოველი თემის ან მისი განსაზღვრული ნაწილის დამთავრებისას, ისე, რომ მე-3, 4, და მე-5 კლასებში საკონტროლო წერა მეოთხედში ჩატარებული იქნეს არანაკლებ 5—6-ისა, ხოლო დანარჩენ კლასებში (მე-6—10) არანაკლებ 4—5-ისა.

საკონტროლო რვეულები სწორდებოდეს დროულად, ისე, რომ მისი შედეგების განხილვა კლასში, წინ უსწრებდეს ახალი მასალის დამუშავებას.

გასწორებულ ნაშრომს უნდა მიეცეს სათანადო შეფასება, მას მასწავლებელი ყოველთვის უნდა აწერდეს სახელსა და გვარს და გასწორების თარიღს.

ამას გარდა, კომისიას საჭიროდ მიაჩნია ცალკე მათემატიკური დისციპლინების მიხედვით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

არითმეტიკაში:

ა. გადაჭრით იქნას გაუმჯობესებული მუშაობა ზეპირ ანგარიშში, თითოეულ გაკვეთილზე ზეპირ ანგარიშს დაეთმოს არანაკლებ 5—6 წუთისა.

2747

ბ. გაძლიერებულ იქნას ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე. საკალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული ყველა ტიპის ამოცანების ნიმუშების დამუშავება კლასში. ამასთან ერთად სისტემატურად უნდ სწარმოებდეს ამოცანათა შემოწმება მათი ამოხსნის შემდეგ.

გ. მაგალითებზე ვარჯიშობისას, შესაფერისი ყურადღება მიექცეს მოქმედებათა სწორად დალაგებასა და ფრჩხილებზე მოქმედებას.

დ. წილადების სწავლების დროს ყურადღებას ცენტრში იქნას მოქცეული გაერთიანშენელოვანებისა და შეკვეცის საკითხების საფუძვლიანად დამუშავება.

II. ალგებრაში:

ა. სისტემატურად ტარდებოდეს მუშაობა განტოლებათა შედგენაზე, განტოლებათა შედგენის და ამოხსნის დროს ზუსტად იქნას დაცული თანამიმდევრობა ცალკე მომენტთა შორის, თითოეული მომენტი დამუშავდეს თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად.

ბ. ალგებრის ცალკე საკითხების დამუშავებისას, ამოცანებზე და მაგალითებზე ვარჯიშობის დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არითმეტიკაში მიღებული ცოდნისა და ჩვევების გაღრმავება-განმტკიცება.

გ. ამოცანების ამოხსნისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აზრების სწორად დალაგებას, მთემატიკური ტერმინოლოგიის და საერთოდ ენობრივი სისწორის დაცვას.

III. გეომეტრიაში:

ა. თეორემათა შესწავლის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული ანალიზური მეთოდი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწორ და თანმიმდევრულ მსჯელობის უნარის გამომუშავების საქმეს, თითოელი თეორემა ათვისებული უნდა იქნას ცნობიერად, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ თეორემათა ზუსტად და თანამიმდევრულად ჩამოყალიბება.

გ. მასწავლებლებმა საჭირო ყურადღება მიაქცეონ ნახაზების ზუსტად და სუფთად შესრულებას, აგრეთვე დაიწესონ სისტემატური მეთვალყურეობა, ამ მიმართულებით მოსწავლეთა ნახაზებზე.

დ. გეომეტრიულ თეორემების შესწავლასთან დაკავშირებით ფართოდ იქნას წარმოებული ამოცანებზე ვარჯიში. ამოცანებზე ვარჯიში უნდა სწარმოებდეს ამოხსნის სამთავე ხერხით — აგებით, გამოანგარიშებით და ტრიგონომეტრიული გამოყენებით.

ე. აღიკვეთოს გეომეტრიული ამოცანების ამოხსნის პერიოდულად წარმოება. გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა უნდა სწარმოებდეს სისტემატურად, ცალკე თეორემების შესწავლასთან დაკავშირებით.

IV. ტრიგონომეტრიაში:

ა. თითოეული ტრიგონომეტრიული თემის დამუშავებას თან უნდა ახლდეს ტრიგონომეტრიულ იგივეობებზე ვარჯიში.

ბ. ფართო ადგილი უნდა დაეთმოს ტრიგონომეტრიულ გამოსახულების სალოგარითმო სახეზე დაყვანის წარმოებას.

გ. შეკვეცულ წრიულ ფუნქციების დამუშავება უნდა სწარმოებდეს უფრო საფუძვლიანად და გამახვილებულ უნდა იქნას ყურადღება ამ ფუნქციების მრავალსახეობაზე.

დ. საჭიროა მასწავლებლებმა მეტი დრო დაუთმონ ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნაზე ვარჯიშს.

გამომკვლევი ბრიგადა:

1) შ. იაშვილი
2) ა. ხარაბაძე
3) პ. ჩარექიშვილი
4) გ. ლორთქიფანიძე

პ/მგ. რედაქტორის მაგ. გრ. საჯაია — პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/XII—39 წ. — ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-1940
მთავლიტის რეშუნებული 2001 — შეკვეთა № 4076 — ტირაჟი —5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ. № 36.